

პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის დოკუმენტი



European Bank
for Reconstruction and Development

შინაარსი

ნაწილი I:	მიზანი	2
ნაწილი II:	განმარტებები	2
ნაწილი III:	რეგულირების სფერო	5
ნაწილი IV:	გადახვევა, გამონაკლისები და საჯაროობა	34
ნაწილი V:	გარდამავალი დებულებები	34
ნაწილი VI:	ამოქმედების თარიღი	35
ნაწილი VII:	გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო	35
ნაწილი VIII:	განხილვა და ანგარიშგება	35
ნაწილი IX:	შესაბამისი დოკუმენტები	35

ნაწილი I: მიზანი

EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მიზანია, ყველა თავისი ინვესტიციის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს მდგრად განვითარებას, როგორც ეკონომიკური გარდაქმნის უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორს. ბანკის პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკის EBRD-ის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკი მოითხოვს, რომ პროექტები შეესაბამებოდეს EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას. გარდა ამისა, ბანკი ვალდებულია გაასაჯაროოს გარკვეული ინფორმაცია პროექტის შესახებ ბანკის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამალღების, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გაუმჯობესების და კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით.

EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმში (IPAM) ასევე განხილულია აღნიშნული ვალდებულებები. IPAM-ი დამოუკიდებლად განიხილავს ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, ბანკის მიერ დაფინანსებულ

პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც, ითვლება, რომ იწვევენ ან შეიძლება გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის სოციალური, გარემოსდაცვითი და საჯაროობის საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა; იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

IPAM-ი წარმოადგენს დამოუკიდებელ ფუნქციას, რომელიც იმართება ბანკის საინვესტიციო ოპერაციების გან დამოუკიდებლად (მაგ. ბანკის ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად) და ბანკის აუდიტის კომიტეტის მეშვეობით, პირდაპირაა ანგარიშვალდებული დირექტორთა საბჭოსთან.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ანაცვლებს 2014 წლის პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურულ წესებს.

ნაწილი II: განმარტებები

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობები აქვთ:

**ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის
პოლიტიკა**

EBRD-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის დოკუმენტი (2019) ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ EBRD-ის პოლიტიკის დოკუმენტის უფრო ადრინდელი ვერსია, რომელიც ძალაში იყო საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების დროს, ან საბჭოს მიერ დამტკიცების უფლებამოსილების გადაცემის შემთხვევაში, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცების პერიოდში, მათ შორის, ნებისმიერი შესაბამისი დირექტივა;

წლიური ანგარიში

IPAM-ის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი VIII-ის შესაბამისად მომზადებული წლიური ანგარიში;

შეფასების ანგარიში

IPAM-ის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.3 პუნქტის შესაბამისად მომზადებული შეფასების ანგარიში;

აუდიტის კომიტეტი

საბჭოს აუდიტის კომიტეტი;

ბანკი (ან EBRD)

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;

საბჭო

ბანკის დირექტორთა საბჭო;

სამუშაო დღე	სამუშაო დღე, როდესაც ბანკი ღიაა ლონდონსა და მის მუდმივმოქმედ წარმომადგენლობებში;
საქმე (ან საქმესთან დაკავშირებული სამუშაო)	წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული განაცხადის განხილვა მისი რეგისტრაციის შემდეგ;
საქმეთა რეესტრი	საქმეთა რეესტრი, რომელიც შეიქმნა წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 3.1 პუნქტის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია IPAM-ის ვებგვერდზე;
კლიენტი	ფიზიკური პირ(ებ)ი ან/და სუბიექტ(ებ)ი, რომელიც (რომლებიც) პასუხისმგებელია (პასუხისმგებლები არიან) პროექტის განხორციელებაზე;
შესაბამისობის შეფასების ანგარიში	წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.6 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების ანგარიში;
შესაბამისობის შემოწმების ანგარიში	წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.7 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის შემოწმების ანგარიში;
გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი	EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი (2019) ან გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის ადრინდელი ვერსია, რომელიც ძალაში იყო პროექტის დამტკიცების დროს;
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)	წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად შექმნილი პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი;
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ხელმძღვანელი (IPAM-ის ხელმძღვანელი)	IPAM-ის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია IPAM-ის ფუნქციონირებაზე, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებასა და იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებზეც პასუხისმგებელია IPAM-ი წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად;
მართვის სამოქმედო გეგმა (MAP)	წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.7.1 პუნქტით გათვალისწინებული მართვის სამოქმედო გეგმა;
მონიტორინგის ანგარიში	IPAM-ის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.5 ან 2.8 პუნქტების შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ანგარიში;
ორგანიზაცია	ნებისმიერი სუბიექტი, ასოციაცია ან ჯგუფი, რომლის ირგვლივაც ხდება სამოქალაქო საზოგადოების ნებაყოფლობითი თვითორგანიზება, რაც წარმოადგენს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ან სამოქალაქო საზოგადოების კონკრეტულ ინტერესებს. ორგანიზაციები გულისხმობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივი მცხოვრებლების ორგანიზაციებს, ბიზნეს ასოციაციებს და პროფესიულ კავშირებს;

მხარეები	ფიზიკური პირები, სუბიექტები და ორგანიზაციები, რომლებსაც პირდაპირი ინტერესი აქვთ საქმის მიმართ. მხარეები შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს): განმცხადებლებს, მათ წარმომადგენლებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ბანკის შესაბამის დეპარტამენტს, გუნდს ან დანაყოფს; კლიენტს; და პროექტის სხვა დამფინანსებლებს ან სხვა სუბიექტებს, რომლებიც პროექტის განხორციელებაზე არიან პასუხისმგებლები;
პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურული წესები	2014 წლის პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურული წესები;
პრობლემების გადაწყვეტის ანგარიში	IPAM-ის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.4 პუნქტის შესაბამისად მომზადებული პრობლემების გადაწყვეტის ანგარიში;
პრობლემების გადაწყვეტის შეჯამება	IPAM-ის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი III-ის 2.4 პუნქტის შესაბამისად მომზადებული პრობლემების გადაწყვეტის შეჯამება;
შესყიდვის წესები	ბანკის შესყიდვის წესები, გათვალისწინებული ბანკის 2017 წლის 8 ნოემბრის კორპორაციული შესყიდვების პოლიტიკის დოკუმენტში, შესაბამისი დირექტივა და ასევე ნებისმიერი შესაბამისი პროცედურა, რომელიც პერიოდულად იცვლება;
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები	ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური პირი, რომელიც ცხოვრობს პროექტის ზემოქმედების ზონაში, ან ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც შეიძლება პროექტმა მოახდინოს ზემოქმედება, რომლებსაც ადგებათ (ან შეიძლება მიადგეთ) გარემოსდაცვითი, სოციალური ან კულტურული ზიანი პროექტის პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების შედეგად. ზიანი შეიძლება უკავშირდებოდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს): სამუშაოს და სამუშაო პირობებს; ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას; დაბინძურებას; მიწის შესყიდვას, არანებაყოფლობით განსაზღვრულ ან ეკონომიკურ გადაადგილებას; ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე ან ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე ზემოქმედებას; მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოსპობას ან დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ინფორმაციის გასაჯაროების არარსებობას;
პრეზიდენტი	ბანკის პრეზიდენტი;
პროექტი	სამუშაოების, საქონლის, მომსახურებების ან/და სამეწარმეო საქმიანობების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრულია ბანკის დაფინანსების შესახებ შეთანხმებით, რომლისთვისაც EBRD-ის დაფინანსება მოთხოვნილია კლიენტის მიერ და რომელსაც ამტკიცებს საბჭო, ან, საბჭოს მიერ დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, ბანკის ხელმძღვანელობა;
განაცხადი	IPAM-ის მიმართ განმცხადებლის მიერ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა;
განმცხადებელი	ფიზიკური პირ(ებ)ი ან ორგანიზაცია(ები), საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც წარადგენენ განაცხადს;

წარმომადგენელი

ნებისმიერი ფიზიკური პირ(ები) ან ორგანიზაცია(ები), რომელსაც წარმომადგენლებად ირჩევენ განმცხადებლები წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით შესაბამისად;

მუქარა

ნებისმიერი დამაზიანებელი ქმედება, რომელიც გამოყენებულია რეკომენდაციისა თუ მუქარის სახით ან განხორციელებულია (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი პირის წინააღმდეგ მისი გაჩუმების, IPAM-თან მისი ურთიერთქმედების აღკვეთის ან განაცხადის წარდგენის ან მისი უწყვეტი დამუშავების ხელის შეშლის მიზნით. მუქარის ფორმები მოიცავს შევიწროებას, დაშინების მცდელობას, დისკრიმინაციულ მოპყრობას, უფლებების ჩამორთმევას, შემოსავლის წყაროზე ან რეპუტაციაზე ზიანის მიყენების რისკს და ფიზიკური ძალადობის, კრიმინალიზაციისა და თავისუფლების აღკვეთის მუქარას;

მოწყვლადი ადამიანები

ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებზეც პროექტმა შეიძლება უფრო ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს, ვიდრე სხვა პირებზე, მათი სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ადგილობრივი მცხოვრებლის სტატუსის, ასაკის (მათ შორის ბავშვები, ახალგაზრდები და ასაკოვანი ადამიანები), ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების შეზღუდვის, განათლების დონის, პოლიტიკური შეხედულებების ან სოციალური მდგომარეობის გამო. მოწყვლად ადამიანებს ან/და ჯგუფებს ასევე შეიძლება მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, მაგალითად, სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრები პირები, ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწის საკუთრება და რომლებსაც მხოლოდ ერთი პირი უძღვება, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული მოსახლეობა, შრომითი მიგრანტები, დევნილები, იძულებით გადაადგილებული პირები ან სხვა ტიპის გადაადგილებული პირები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული ეროვნული კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო საჯარო სამართლით.

ნაწილი III: რეგულირების სფერო

1. ფუნქციები და მმართველობა

1.1 IPAM-ს განაცხადების განსახილველად გააჩნია ორი დამატებითი არასასამართლო და არაშეჯიბრებითი ფუნქცია:

a) პრობლემების გადაწყვეტის ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს განმცხადებლებსა და კლიენტებს შორის დიალოგს, რომლის მიზანია იმ გარემოსდაცვითი, სოციალური და გასაჯაროების საკითხების ხელშეწყობა, რომლებიც წარმოადგენენ ისეთი განაცხადის საფუძველს, რომელსაც თან არ ახლავს დადანაშაულება ან დანაშაულის გრძნობა. IPAM-ი ჩართულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობაში, ნეიტრალური მესამე მხარის სახით, რათა ხელი შეუწყოს ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების მიღებას მოქნილი, ურთიერთშეთანხმებაზე დაფუძნებული პრობლემების გადაწყვეტის მიდგომების საშუალებით; და

b) შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს არის თუ არა EBRD-ი შესაბამისობაში მის მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტთან ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან, კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში. როგორც ასეთი, შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქცია ვრცელდება მხოლოდ ბანკის შესაბამისობაზე და არა კლიენტის შესაბამისობაზე. IPAM-ში ჩართულები არიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები, ბანკის თანამშრომლები, კლიენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რათა განისაზღვროს, თავისი მოქმედებებით ან უმოქმედობით არღვევს თუ არა ბანკი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის რომელიმე დებულებას

(მათ შორის, დებულებას, რომელიც ბანკისგან მოითხოვს კლიენტის ვალდებულებების მონიტორინგს), ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ EBRD-ი არ შეესაბამება რომელიმე ზემოხსენებულ პოლიტიკას, შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქცია ასევე ითვალისწინებს კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ და პროცესუალურ ცვლილებებს ბანკის პრაქტიკაში, არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის, მომავალი შეუსაბამობების თავიდან აცილების და ინსტიტუციური გამოცდილებისა და შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

1.2 სხვა ფუნქციები. IPAM-ს ასევე ევალება:

- a) ინსტიტუციური გამოცდილების იდენტიფიცირება, რომელიც შეეხება საერთო გამოწვევებს, იძლევა კონსტრუქციულ რეკომენდაციებს და ხელს უწყობს EBRD-ში უწყვეტი სწავლების კულტურას. IPAM-ის ინსტიტუციურ გამოცდილებასთან და საკონსულტაციო ფუნქციასთან დაკავშირებული დეტალური დებულებები 3.2 პუნქტით არის გათვალისწინებული.
- b) საინფორმაციო კამპანიების ჩატარება შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს IPAM-ის მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის გაცნობა. IPAM-ის საინფორმაციო კამპანიის ფუნქციასთან დაკავშირებული დეტალური დებულებები გათვალისწინებულია 3.2 პუნქტში.

1.3 სახელმძღვანელო პრინციპები.

IPAM-ი აღნიშნული ოთხი ფუნქციის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- a) *დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა*: ყველა მხარის ნდობის მოპოვება IPAM-ის ბანკის ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლობის და საქმის

ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ სამართლიანი და ობიექტური დამოკიდებულების მეშვეობით;

- ბ) *გამჭვირვალობა*: მხარეების მუდმივი ინფორმირება საქმის მიმდინარეობის, მექანიზმის საქმიანობის და IPAM-ის მეშვეობით ხელმისაწვდომი შედეგების ტიპების შესახებ;
- ა) *პროგნოზირებადობა*: მკაფიო და თანამიმდევრული პროცესებისა და პროცედურების შეთავაზება;
- ბ) *სამართლიანობა*: მუშაობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მხარეს გააჩნდეს გონივრული წვდომა IPAM-ის პროცესებში ჩართვისთვის საჭირო ინფორმაციაზე სამართლიანი და ინფორმირებული პირობებით, ასევე კონფიდენციალურობის შესაბამისი მოთხოვნების პატივისცემა; და
- გ) *ხელმისაწვდომობა*: მუშაობა, რომლის მიზანია ინფორმაციის მიწოდება იმ ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფებისათვის, რომლებსაც შეეძლება IPAM-ის გამოყენება; წვდომის ბარიერების გამარტივება; ფუნქციონირება კულტურულად მისაღებ გარემოში და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით; აგრეთვე საქმეების კონფიდენციალური განხილვის, მუქარის რისკის შეფასების და რისკის შემარბილებელი ღონისძიებების მეშვეობით IPAM-ზე უსაფრთხო წვდომის ხელშეწყობა.

1.4 ანგარიშვალდებულება EBRD-ში ბანკის მასშტაბით გაღებული ძალისხმევით, რომელიც აერთიანებს IPAM-ის, საბჭოსა და ბანკის ხელმძღვანელობის არაერთ და ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციასა და პასუხისმგებლობას. IPAM-ის ხელმძღვანელი უძღვება წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული ბანკის პროექტების ანგარიშვალდებულების მანდატის განხორციელებას, რომელიც აღწერილია ქვემოთ, 3.3. პუნქტში.

1.5 IPAM-ი ფუნქციონირებს დამოუკიდებლად, და იგი პირდაპირ ანგარიშვალდებულება საბჭოს წინაშე. აუდიტის კომიტეტის¹ ფუნქციები და პასუხისმგებლობა IPAM-თან მიმართებაში ასახულია აღნიშნული კომიტეტის ტექნიკურ დავალებაში. IPAM-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დებულებები გათვალისწინებულია ქვემოთ, 3.3. პუნქტით.

2. საქმეების განხილვის პროცესი


IPAM-ის საქმეების განხილვის პროცესი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე (მაგრამ არა აუცილებლად ყველა) მოცემულ ეტაპს (გამოსახულება 1):

- ა) რეგისტრაცია;
- ბ) შეფასება;
- გ) **ვარიანტი A**: პრობლემების გადაწყვეტა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან ახლავს პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმების მონიტორინგი; ან/და

ვარიანტი: შესაბამისობის შეფასება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისობის შემოწმება და მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში (იხ. გამოსახულება 1).

1 აუდიტის კომიტეტი ან საბჭოს სხვა ნებისმიერი მომავალში შექმნილი კომიტეტი, რომელსაც საბჭო გადასცემს ზედამხედველობის აღნიშნულ ფუნქციას.

დიაგრამა 1: IPAM-ის საქმის განხილვის პროცესის დიაგრამა



* პრობლემების გადაწყვეტის პროცესის დასრულების შემდეგ შესაძლებელია საქმის შესაბამისობის შესაფასებლად გადაგზავნა, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევენ განმცხადებლები.

საქმის განხილვის თითოეული ეტაპის მიზნები, კრიტერიუმები, მიდგომები, და ანგარიშგება შედეგებისა და შესაძლო ზემოქმედების შესახებ დეტალურად განხილულია ქვემოთ, მე-2 პუნქტში.

გაითვალისწინებს განაცხადის გარემოებებს და განახორციელებს რეგისტრაციას თუ განაცხადი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

2.1 განაცხადის წარდგენა

ა) ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა:

- განაცხადის წარდგენა შეუძლია(თ) ცალკეულ პირ(ებ)ს, ორგანიზაციას(ებს), რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ პროექტის ზემოქმედების (ან შესაძლო ზემოქმედების) ქვეშ მყოფ პირებად;
- IPAM-ი ასევე იღებს და განიხილავს იმ ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განაცხადების რეგისტრაციის საკითხს, რომლებზეც პროექტი პირდაპირ ან პერსონალურ ზემოქმედებას არ ახდენს. ასეთ შემთხვევებში, IPAM-ი

- შეიცავს მტკიცებულებას განმცხადებელთა მცდელობის შესახებ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების მათთვის საინტერესო საკითხების განხილვაში ჩართულობასთან დაკავშირებით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების არსებობის შემთხვევაში, და განაცხადთან დაკავშირებულ ნებისმიერ უკუკავშირს, რომელიც წარმოდგენილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ; და

b) შეიცავს მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს თავად წარადგინონ განაცხადი.

იმ ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოთხოვნები, რომლებზეც პროექტი პირდაპირ ან პერსონალურად არ ახდენს ზემოქმედებას, შეიძლება განხილული იქნეს IPAM-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციის შესაბამისად.

b) როგორ ხდება განაცხადის წარდგენა IPAM-ში. IPAM-ში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერი წერილობითი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო არ არის, სახელმძღვანელო მითითებები განაცხადის შედგენისა და მისი წარდგენის შესახებ ხელმისაწვდომია IPAM-ის განაცხადის ფორმის ნიმუშის სახით, რომელიც მოცემულია A დანართში და ხელმისაწვდომია IPAM-ის ვებგვერდზე. ასევე შესაძლებელია IPAM-თან დაკავშირება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს განაცხადი და მოხდეს მისი წარდგენა. განაცხადების წარდგენა შესაძლებელია შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- i. IPAM-ის უსაფრთხო, დაშიფრული განაცხადის ონლაინ ფორმით, რომელიც ხელმისაწვდომია IPAM-ის ვებგვერდზე;
- ii. IPAM-ის განაცხადის შაბლონით (რომელიც მოცემულია დანართში A); ან
- iii. ნებისმიერ წერილობით ფორმატში;

განაცხადი IPAM-ს გადაეცემა ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან პირადად, შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით:

ელექტრონული ფოსტა: ipam@ebrd.com
ტელეფონი: +44 7881013976
ფაქსი: +44 20 7338 7633

საფოსტო მისამართი:

Attn: Independent Project Accountability Mechanism
European Bank for Reconstruction and Development
One Exchange Square
London
United Kingdom
EC2A 2JN

განაცხადის გაგზავნა ან მიტანა ასევე შესაძლებელია EBRD-ის ნებისმიერ მუდმივმოქმედ წარმომადგენლობაში (პირველ სტრიქონში უნდა მიეთითოს, რომ განაცხადის ადრესატი IPAM-ია, რის შემდეგაც მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა განაცხადებს გადაუგზავნის IPAM-ს). ბანკის მუდმივმოქმედი წარმომადგენლობების მისამართების ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://www.ebrd.com/contacts.html>

c) რას უნდა შეიცავდეს განაცხადი.

განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- i. განმცხადებელი პირ(ებ)ის ან ორგანიზაცი(ებ)ის სახელ(ებ)ს (სახელწოდებას(ებს));
 - a. განმცხადებლებს უფლება აქვთ მოითხოვონ განაცხადში მითითებული რამდენიმე ან ყველა ფიზიკური პირის ვინაობის ან ორგანიზაციის კონფიდენციალურობის დაცვა. IPAM-ი ვალდებულია დაიცვას განმცხადებელთა ვინაობის კონფიდენციალურობა, თუ განაცხადში ამის შესახებ პირდაპირ არის მოთხოვნილი. განმცხადებელს სთხოვენ წარმოადგინოს გონივრული ახსნა, თუ რატომ მოითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას თავის განცხადებაში, ხოლო, თუ განმცხადებლები მოითხოვენ, კონფიდენციალურობის დაცვასთან ერთად შეიძლება ამოქმედდეს IPAM-ის მუქარის რისკის შეფასება, რომელიც 3.1(ლ) პუნქტით არის

- გათვალისწინებული. IPAM-ი განიხილავს კონფიდენციალურობის საკითხს განაცხადის მიღებიდან უმოკლეს ვადაში და, აუცილებლად, IPAM-ის მიერ განაცხადის რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღებამდე. მოთხოვნილი კონფიდენციალურობის დასაცავად გამოყენებული იქნება ყველა გონივრული ძალისხმევა. თუმცა, თუ IPAM-ი გონივრულად მიიჩნევს, რომ კონფიდენციალურობის დაცვა ხელს შეუშლის განაცხადის განხილვას, მაშინ IPAM-ი დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს აღნიშნულის შესახებ. IPAM-ი და განმცხადებლები შეთანხმდებიან როგორ განახორციელონ შემდგომი ქმედებები, ან, თუ შეთანხმების მიღწევა შემდგომი ქმედებებთან დაკავშირებით შეუძლებელია, IPAM-მა შეიძლება პროცესი შეაჩეროს;
- ii. განმცხადებელთა საკონტაქტო ინფორმაციას (მათ შორის საცხოვრებელი ან საფოსტო მისამართი და, შესაძლებლობის ფარგლებში, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი ან/და ფაქსის ნომერი);
 - iii. შესაბამისი პროექტის აღწერას, რომელიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ იგი EBRD-ის ინვესტიციას წარმოადგენს (მაგ. პროექტის ან კლიენტის სახელი, პროექტის ადგილმდებარეობა ან სექტორი);
 - iv. ზიანის ან შესაძლო ზიანის აღწერას, რომელიც მიიჩნევა, რომ გამოწვეულია ან შეიძლება გამოწვეული იქნეს პროექტის განხორციელების შედეგად;
 - v. i) განმცხადებლების მიერ გამოყენებულ ნებისმიერ კეთილსინდისიერ ძალისხმევას ბანკთან ან/და კლიენტთან მიმართებაში განაცხადში მითითებული საკითხების გადასაწყვეტად და აღნიშნული ძალისხმევის შედეგების აღწერას, ან ii) ახსნა-განმარტებას, თუ რატომ არ მოხდა ამგვარი ძალისხმევის

გამოყენება. IPAM-ი უარს იტყვის კეთილსინდისიერი ძალისხმევის განხორციელების მოთხოვნაზე, თუ ამგვარი ძალისხმევა მიჩნეული იქნება უსარგებლოდ ან საზიანოდ განმცხადებლებისთვის, ან შესაბამისი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

d) **არასავალდებულო ინფორმაციის შეტანა განაცხადში.**

მიუხედავად მისი არასავალდებულო ხასიათისა, განმცხადებლებს ასევე შეუძლიათ განაცხადში შეიტანონ შემდეგი სახის ინფორმაცია, თუ ცნობილი, სასურველი ან ხელმისაწვდომია:

- i. იმ შედეგების აღწერა, რომლის მიღწევის მოლოდინიც გააჩნიათ IPAM-ის პროცესის გამოყენებით;
- ii. განმცხადებლები განაცხადში მითითებული საკითხების გადაწყვეტისას პრობლემის გადაწყვეტით არიან დაინტერესებული, შესაბამისობის შემოწმებით თუ ერთდროულად ორივე ფუნქციით;
- iii. გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის დოკუმენტის შესრულების კონკრეტული მოთხოვნები ან დებულებები, რომლებსაც არღვევს ბანკი, განმცხადებლების მოსაზრებით;
- iv. ნებისმიერი დოკუმენტაცია განმცხადებლებსა და EBRD-ს ან განმცხადებელსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის შესახებ;
- v. განაცხადის შესაბამისი ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან მასალები, რომლებიც შეიძლება შეტანილი იქნეს განაცხადში, ან თან ერთვოდეს მას. აღნიშნული მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წერილობით და ზეპირ განცხადებებს, ფოტოებს, სურათებს, ვიდეოებს, ჩანაწერებს, მედია ანგარიშებს ან კარტოგრაფირებას; ან/და

- vi. IPAM-თან განმცხადებლების კომუნიკაციის მეთოდს, რომელსაც განმცხადებლები უპირატესობას ანიჭებენ (მაგ. ელ. ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი, საფოსტო მისამართი, კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა მობილური აპლიკაცია WhatsApp, ან სპეციალური უსაფრთხო კომუნიკაციის არხები); და
- vii. ნებისმიერ ინტერესს, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ განმცხადებლებს მუქარის რისკთან დაკავშირებით; ან
- viii. წარმომადგენლები. სურვილის შემთხვევაში, განმცხადებლებს შეუძლიათ დანიშნონ წარმომადგენელი, რომელიც დახმარებას გაუწევს მათ საქმის განხილვის პროცესში. ასეთ შემთხვევებში, განაცხადი უნდა შეიცავდეს წერილობით დასტურს (მაგალითად, განმცხადებლების მიერ ხელმოწერილ წერილს) წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ, იმოქმედოს განმცხადებლის სახელით, განაცხადთან მიმართებაში. განმცხადებლებმა უნდა მიუთითონ სურთ თუ არა, რომ თავიანთმა წარმომადგენელმა შეასრულოს საკონტაქტო პირის მოვალეობა IPAM-სა და განმცხადებლებს შორის კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით, რა შემთხვევაშიც, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, IPAM-მა შეიძლება კომუნიკაცია იქონიოს პირდაპირ განმცხადებლებთან.

2.2 რეგისტრაცია

- a) **მიზანი.** განაცხადის წარდგენის შედეგად დაიწყება 2.2 პუნქტში აღწერილი სკრინინგის პროცესი. რეგისტრაციის ეტაპის მიზანია განაცხადების სკრინინგი, რათა შემოწმდეს საჭიროა თუ არა მათი IPAM-ში რეგისტრაცია და, აქედან გამომდინარე, 2.3 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის შეფასება.

- b) **კრიტერიუმები.** განაცხადი დარეგისტრირდება, იმ შემთხვევაში, თუ:
 - i. იგი მოიცავს 2.1(გ) პუნქტში ჩამოთვლილ სავალდებულო ინფორმაციას;
 - ii. IPAM-ის მოსაზრებით, მასში მითითებულია ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულ ან კონკრეტული პროექტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკით გათვალისწინებულ საბანკო ვალდებულებებთან; და
 - iii. იგი დაკავშირებულია ბანკის მიერ დამტკიცებულ პროექტთან, სადაც განაცხადი წარდგენილია ბანკის მიერ პროექტის ფინანსური ინტერესის შეწყვეტის თარიღიდან 24 თვის განმავლობაში (მაგალითად, სრული ანაზღაურების, თანხის ავანსად გამოყოფის, განკარგვის და სხვა მიზეზის გამო).
 - a. თუ განაცხადი უკავშირდება ისეთ ოპერაციებს, რომლებიც ჯერ არ არის დამტკიცებული, IPAM-ი ბანკის ხელმძღვანელობას მიაწოდებს ინფორმაციას და აცნობებს განმცხადებლებსა და საბჭოს, აუდიტის კომიტეტის მეშვეობით. პროექტის მომზადებისას, ბანკის ხელმძღვანელობა მხედველობაში მიიღებს და ინფორმაციას მიაწვდის IPAM-ს წერილობითი ფორმით, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება განმცხადებელთა პრობლემების გადაწყვეტა.

- c) **მოქმედების სფერო და გამონაკლისები.** განაცხადი არ დარეგისტრირდება, თუ იგი არ აკმაყოფილებს 2.2(ბ) პუნქტის მოთხოვნებს ან თუ:
 - i. იგი უკავშირდება მხოლოდ: EBRD-ის პოლიტიკის დოკუმენტების ადეკვატურობასა და შესაბამისობას, შეთანხმებას ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით ან ისეთ არაოპერაციულ საკითხებს, როგორიცაა შიდა

- ადმინისტრირება ან ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ან საქმიანობა;
- ii. იგი უკავშირდება მხოლოდ მესამე მხარის ვალდებულებებს, მაგალითად, ეროვნული მოთხოვნების განხორციელების გარემოსდაცვით უფლებამოსილებებსა და ადეკვატურობას, ან ქვეყნის ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით ან ხელშეკრულებით და არა ისეთ საკითხებს, რომლებიც კონტროლდება ბანკის ან კლიენტის მიერ;
 - iii. იგი უკავშირდება ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც განაცხადი უკვე დაამუშავა IPAM-მა ან მისმა წინამორბედებმა (პროექტის გასაჩივრების მექანიზმი ან დამოუკიდებელი რესურსების მექანიზმი), თუ ცნობილი არ გახდა ახალი მტკიცებულებები ან გარემოებები, რომელთა წარმოდგენაც წინა განაცხადით არ მომხდარა;
 - iv. მისი წარდგენა მოხდა თაღლითურად, დაუდევრად ან ბოროტი განზრახვით, პირადი, კონკურენტული ან სხვა სახის უპირატესობის მიღების, ან კომერციულ თუ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებს გადაწყვეტის მიზნით; ან/და
 - v. მასში მითითებულია მხოლოდ თაღლითობის, კორუფციის ბრალდებები, ეთიკის, ერთიანობის, საჯარო მმართველობის, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები, სახელშეკრულებო საკითხები ან საკითხები ადამიანური რესურსებთან დაკავშირებით:
 - a. განაცხადები, რომლებშიც მითითებულია თაღლითობის, ეთიკის ან შეუვალობის ბრალდებები, გადამისამართდება ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციის ხელმძღვანელთან.
 - b. განაცხადები, რომლებშიც მითითებულია შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები, გადამისამართდება ბანკის შესყიდვების ფუნქციის ხელმძღვანელთან.
- d) **რეგისტრაციის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.** განაცხადის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, IPAM-მა ასევე უნდა გაითვალისწინოს:
- i. შეიძლება თუ არა საქმის განხილვისას მოხდეს დუბლირება, ხელის შეშლა ან შეფერხება იმავე განმცხადებლების მიერ (ან როდესაც განმცხადებლები ფიზიკურ პირთა ჯგუფი ან ორგანიზაციაა, ჯგუფის ზოგიერთი წევრის მიერ) ინიცირებული რაიმე სხვა პროცესით ერთი და იმავე პროექტთან ან/და საკითხთან მიმართებაში; და
 - ii. მიუთითა თუ არა განმცხადებელმა განაცხადში საკითხები კლიენტთან დავის გადაწყვეტის ან გასაჩივრების მექანიზმის მეშვეობით, თანადადგინანსებელი დაწესებულების დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმის მეშვეობით, ან სასამართლოს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თუ დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმის მეშვეობით და, თუ ეს ასეა, IPAM-მა ასევე უნდა განიხილოს აღნიშნული ღონისძიებების სტატუსიც.
- e) **მიდგომა.** IPAM-ი რეგისტრაციის მიზნით განახორციელებს განაცხადის სკრინინგს განაცხადის შინაარსის განხილვის მეშვეობით; განაცხადზე დართული ნებისმიერი მხარდამჭერი დოკუმენტით, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციით; ან/და ბანკის ხელმძღვანელობის, კლიენტის ან განმცხადებლის მიერ მოწოდებული ნებისმიერი პროექტთან დაკავშირებული ან შესაბამისი ინფორმაციით.
- f) **განაცხადის შენერება.**
- i. თუ IPAM-ი ვერ არეგისტრირებს განაცხადს, რადგან იგი არ აკმაყოფილებს 2.2(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ

მოთხოვნებს და IPAM-ის აზრით შესაძლებელია, რომ განმცხადებლებმა გამოასწორონ აღნიშნული ხარვეზი, IPAM-ი განმცხადებლებს (ან მათ წარმომადგენლებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) აცნობებს აღნიშნულის შესახებ. ამის შემდგომ, IPAM-ი შეაჩერებს რეგისტრაციის გადაწყვეტილებას და განმცხადებლებს მისცემს ხარვეზის გამოსწორების და განაცხადის ხელმეორედ წარდგენის გონივრულ შესაძლებლობას, როგორც აღწერილია 3.1(ო) პუნქტში;

ii. თუ განმცხადებლებმა არ გამოიჩინეს კეთილსინდისიერი ძალისხმევა ბანკის ან/და კლიენტის მიმართ განაცხადში მითითებული საკითხის გადასაწყვეტად, (და IPAM-ს არ წარუდგინეს დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ ვერ მოხდა აღნიშნული ძალისხმევის გამოყენება), IPAM-ი განმცხადებლებთან გამართავს კონსულტაციას უმოქმედობასთან დაკავშირებით;

a. თუ, 2.1 (გ)vi.პუნქტის შესაბამისად, მოხდა მოთხოვნიდან გადახვევა, IPAM-მა შეიძლება შეაჩეროს განაცხადის რეგისტრაცია და განაცხადი ბანკის ხელმძღვანელობას გადაუგზავნოს. ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა არაუმეტეს 45 სამუშაო დღე, IPAM-ის ხელმძღვანელის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რათა გამოიჩინოს კეთილსინდისიერი ძალისხმევა მითითებული საკითხების გადასაწყვეტად (როგორც განსაზღვრულია 3.1(გ) პუნქტით). შეჩერების პერიოდში, IPAM-ი განახორციელებს ნებისმიერი შეჩერებული განაცხადის სტატუსისა და პროგრესის მონიტორინგს. IPAM-მა შეიძლება გააუქმოს შეჩერება და დაარეგისტრიროს განაცხადი შემდგომი განხილვის მიზნით, თუ ბანკის ხელმძღვანელობის ან კლიენტს ძალისხმევის შედეგად, IPAM-ის აზრით, ვერ მოხერხდა განაცხადში მითითებული საკითხის გადაწყვეტა.

IPAM-ი ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისას კონსულტაციებს გამართავს განმცხადებლებთან და ბანკის ხელმძღვანელობასთან.

გ) **შედეგი.** IPAM-ი განაცხადს დაარეგისტრირებს, თუ იგი აკმაყოფილებს 2.2(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, არ განეკუთვნება 2.2(გ) პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებს და თუ მიიჩნევს, რომ რეგისტრაცია მიზანშეწონილია 2.2(დ) პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე. IPAM-ი განმცხადებლებს, ბანკის ხელმძღვანელობასა და კლიენტს აცნობებს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ და საბჭოსა და პრეზიდენტს გასაცნობად წარუდგენს ახალი განაცხადის რეგისტრაციას. აუცილებლობის შემთხვევაში, IPAM-ი საბჭოს აცნობებს ახლად დარეგისტრირებული განაცხადების შესახებ თავისი კვარტალური ანგარიშგების ფარგლებში ან საჭიროების შემთხვევაში. IPAM-ი რეგისტრირებულ განაცხადებს გამოაქვეყნებს IPAM-ის საქმეთა რეესტრში.

i. როდესაც ბანკის ხელმძღვანელობა საბჭოს ან დამტკიცების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს (იმ შემთხვევაში, თუ საბჭომ მოახდინა დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება) წარუდგენს ახლად შემოთავაზებულ პროექტს, იგი თავდაპირველად დაადგენს ოდესმე ყოფილა თუ არა პოტენციური კლიენტი IPAM-ის ან მისი წინამორბედების მიერ განხილული საქმის მხარე და IPAM-თან ერთად განსაზღვრავს აღნიშნული ინფორმაცია და საქმის შედეგები უნდა დაერთოს თუ არა საბჭოს ან დამტკიცების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს მიერ განსახილველად წარსადგენ დოკუმენტებს.

ii. რეგისტრაციის შემდეგ IPAM-ი დახურავს საქმეს, თუ აშკარაა, რომ განაცხადის განხილვის რომელიმე ეტაპზე 2.2(ბ) პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები აღარ სრულდება ან გამოიყენება 2.2(გ) პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გამონაკლისი.

2.3 შეფასება

a) **მიზანი.** განაცხადის რეგისტრაციის შედეგად დაიწყება 2.3 პუნქტში აღწერილი შეფასების პროცესი. ამ ეტაპის მიზანს წარმოადგენს, რომ IPAM-მა:

- i. ჩამოაყალიბოს მკაფიო წარმოდგენა განაცხადში მითითებული საკითხების შესახებ;
- ii. მხარეებთან ერთად განიხილოს პრობლემების გადაწყვეტის და შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციები, მათი მასშტაბი და შესაძლო შედეგები;
- iii. შეაფასოს მხარეთა თითოეულ ფუნქციაში ჩართულობის მზაობა და ამასთანავე მხედველობაში მიიღოს თუ რომელ ფუნქციას ანიჭებენ უპირატესობას განმცხადებლები;
- iv. განიხილოს საჩივრების განხილვის რეგულირების სხვა მცდელობების განახლებული სტატუსი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, 2.2(დ) პუნქტის შესაბამისად; და
- v. დაადგინოს:

a. გადავა თუ არა საქმე პრობლემების გადაწყვეტის ეტაპზე, განმცხადებლებსა და კლიენტს (ან სხვა შესაბამის მხარე(ებ)ს) შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე;

b. გადაეცემა თუ არა საქმე შესაბამისობის შეფასებას, თუკი არ იქნება მიღწეული პრობლემების გადაწყვეტის შესახებ შეთანხმება, განმცხადებელთა პირდაპირი მოთხოვნის საფუძველზე; ან

c. დაიხურება თუ არა საქმე.

თუ მხარეები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ პრობლემების გადაწყვეტაში, აღნიშნული ფუნქცია უნდა შესრულდეს საქმის შესაბამისობის შეფასებაზე გადაცემის განხილვამდე, თუ IPAM-ის მიერ სხვაგვარად არ იქნება მიჩნეული.

b) **მიდგომა.** IPAM-ი საქმეს შეაფასებს:

- i. განაცხადის შინაარსის, განაცხადში შემავალი ნებისმიერი მხარდამჭერი დოკუმენტის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის განხილვის საფუძველზე;
- ii. ბანკის ხელმძღვანელობის, კლიენტის ან/და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული ან შესაბამისი ინფორმაციის განხილვით, განმცხადებლების, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხვა ადამიანების, ბანკის ხელმძღვანელობის, კლიენტის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; და
- iii. საპროექტო ზონაში ადგილზე გასვლით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც IPAM-ი ეფექტური შეფასებისთვის საჭიროდ არ მიიჩნევს ამის განხორციელებას.

c) **შედეგი და ანგარიშგება.** IPAM-ი შეფასების ეტაპის დასრულებისთანავე გამოსცემს შეფასების ანგარიშს, რომელშიც აღწერილია შეფასების პროცესის შედეგი და:

i. გასაცნობად წარუდგენს საბჭოს და პრეზიდენტს, თუ IPAM-ი გასცემს რეკომენდაციას მუშაობის გაგრძელების შესახებ;

a) თუ მხარეები შეთანხმდნენ პრობლემების გადაწყვეტაზე, შეფასების ანგარიშს თან დაერთვება პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივის ტექნიკური დავალება, რომელშიც განსაზღვრულია მოქმედების სფერო, გამოსაყენებელი მეთოდები, ინიციატივის ვადები, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი ცოდნა და პრობლემების გადაწყვეტის სხვა სახელმძღვანელო პრინციპები. შესაძლებლობის ფარგლებში, IPAM-ი მხარეებთან გამართავს კონსულტაციებს ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესში; ან

- ii. დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს, რათა საქმე დაიხუროს გასაჩივრების არარსებობის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ IPAM-ი გასცემს საქმის დახურვის რეკომენდაციას.

თითოეულ შემთხვევაში, IPAM-ი შეფასების ანგარიშს ხელმისაწვდომს გახდის განმცხადებლებისათვის, ბანკის ხელმძღვანელობისა და კლიენტისათვის და გამოაქვეყნებს მას საქმეთა რეესტრში.

2.4 პრობლემების გადაწყვეტა

- a) **მიზანი.** პრობლემების გადაწყვეტის მიზანს წარმოადგენს:

- i. მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობა;
- ii. ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მისაღებია ყველა იმ მხარისთვის, რომელიც გადაწყვეტს განაცხადში მითითებულ საკითხებს; და
- iii. მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობა.

- b) **მიდგომა.** მხარეთა შორის საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნის შესაბამისად, IPAM-ი:

- i. გაითვალისწინებს საქმის ყველა გარემოებას (მათ შორის მითითებული საკითხების ხასიათს, მათ აქტუალურობას და წარმატების გონივრულ ალბათობას), რათა განსაზღვროს პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე ხელსაყრელი მიდგომა. მიდგომების შერჩევა მოხდება მხარეებთან კონსულტაციის შედეგად და შეიძლება მოიცავდეს: დიალოგის, მედიაციის, შერიგების, ინფორმაციის გაზიარების, ფაქტების ერთობლივად დადგენის ან მხარდაჭერის მოლაპარაკებების ხელშეწყობას;
- ii. დიალოგის პროცესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, მოიწვევს გარე კონსულტანტებს შესყიდვის წესებისა და 3.1 (ი) პუნქტის შესაბამისად, IPAM-ის მიერ საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში; და

- iii. მხარს არ დაუჭერს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება EBRD-ის პოლიტიკის დოკუმენტებს ან არღვევს ნებისმიერ მოქმედ კანონს.

- c) **შეწყვეტა.** პრობლემების გადაწყვეტის პროცესი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს:

- i. IPAM-ის მიერ, თუ, მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, IPAM-ის მოსაზრებით, პრობლემების გადაწყვეტა, სავარაუდოდ, აღარ გამოიღებს დადებით შედეგს, ან/და თუ პრობლემების გადაწყვეტის პროცესი აღარ წარმოადგენს რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რა შემთხვევაშიც IPAM-ი წერილობით აცნობებს მხარეებს; ან
- ii. ნებისმიერი მხარის მიერ; პრობლემების გადაწყვეტა წარმოადგენს ნებაყოფლობით პროცესს და განმცხადებლებმა და კლიენტებმა შეიძლება ნებისმიერ დროს თქვან უარი მასზე.

- d) **ანგარიშგება.** პრობლემების გადაწყვეტის ეტაპის დასრულებისთანავე, IPAM-ი:

- i. მოამზადებს პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშის პროექტს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ინიციატივის შედეგები და გასაცნობად გადასცემს მხარეებს. თუ მხარეები საჭიროდ მიიჩნევენ კონფიდენციალურობის შეზღუდვებიდან გამომდინარე, გასაჯაროების მიზნებისათვის მომზადდება პრობლემების გადაწყვეტის შეჯამება;
- ii. საბჭოს და პრეზიდენტს გასაცნობად წარუდგენს პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშის საბოლოო ვერსიას, ან, პრობლემების გადაწყვეტის შეჯამების საბოლოო ვერსიას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- iii. მხარეთათვის ხელმისაწვდომს გახდის პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშს ან, პრობლემების გადაწყვეტის შეჯამებას; და

- iv. საქმეთა რეესტრში გამოაქვეყნებს პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშს (ან მის შეჯამებას, თუ კონფიდენციალურობის შეზღუდვა პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშის სრული ვერსიის გამოქვეყნების საშუალებას არ იძლევა).

e) **შედეგი.**

- i. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, IPAM-ი განხორციელებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს 2.5 პუნქტის შესაბამისად; ან
- ii. თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება ან ადგილი აქვს 2.4(გ) პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე შეწყვეტას, IPAM-ი საქმეს დახურავს; ან
- iii. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ თხოვნით მიმართავენ განცხადების წარმდგენები, IPAM-ი საქმეს გადააგზავნის შესაბამისობის შეფასებაზე 2.6 პუნქტის შესაბამისად; და
- iv. კონფიდენციალურობის შეზღუდვების გათვალისწინებით, IPAM-ი ბანკის ხელმძღვანელობას ან/და საბჭოს გაუზიარებს ინსტიტუციურ გამოცდილებას და მასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, რომელიც განაცხადიდან, პრობლემის გადაწყვეტის ინიციატივიდან ან მისი შედეგებიდან გამომდინარეობს.

2.5 პრობლემების გადაწყვეტის მონიტორინგი

- a) **მიზანი.** IPAM-ი განხორციელებს მხარეთა მიერ პრობლემების გადაწყვეტის მეშვეობით მიღწეული ნებისმიერი შეთანხმების განხორციელების მონიტორინგს.
- b) **კრიტერიუმები.** პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმებები განხორციელებულად ჩაითვლება, თუ ისინი დააკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- i. მხარეთა მიერ ამგვარი შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები ხორციელდება ეფექტურად; და
- ii. დაცულია განხორციელების ვადები.

c) **მიდგომა.** მონიტორინგის დროს IPAM-ი:

- i. კონსულტაციებს გამართავს განმცხადებლებთან, კლიენტთან, ბანკის ხელმძღვანელობასთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;
- ii. განიხილავს საპროექტო დოკუმენტაციას, განმცხადებელთა (ან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ წარმომადგენელთა) და კლიენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას;
- iii. ადგილზე გავა საპროექტო ზონაში, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს IPAM-ი; ან
- iv. მოიწვევს კონსულტანტებს სპეციფიკურ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს IPAM-ი. კონსულტანტების მოწვევა განხორციელდება შესყიდვის წესებისა და 3.1(ი) პუნქტის შესაბამისად.

d) **მონიტორინგის ანგარიშგება.** IPAM-ი გამოსცემს მონიტორინგის ანგარიშებს, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ:

- i. IPAM-ის მიმდინარე აქტივობების აღწერის მიზნით, თითოეულ მიმდინარე საქმესთან მიმართებაში; და
- ii. პრობლემების გადაწყვეტის თითოეული შეთანხმების განხორციელების სტატუსის განახლებული მონაცემების წარმოდგენის მიზნით, ვიდრე IPAM-ი არ დაადგენს, რომ სრულად იქნა განხორციელებული პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი შეთანხმება.

IPAM-ი მხარეებს გადასცემს მონიტორინგის ანგარიშების პროექტს კომენტარის გაკეთების მიზნით და განიხილავს ნებისმიერ ამგვარ კომენტარს

მონიტორინგის ანგარიშების საბოლოო ვერსიის შემუშავებისას. მონიტორინგის ანგარიშები გასაცნობად წარედგინებათ საბჭოს და პრეზიდენტს, ხელმისაწვდომი იქნება განმცხადებლებისათვის, ბანკის ხელმძღვანელობისა და კლიენტისთვის და გამოქვეყნდება საქმეთა რეესტრში. საჭიროების შემთხვევაში, IPAM-ი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმების შესახებ, თავისი კვარტალური ანგარიშების ფარგლებში ან საჭიროების შემთხვევაში. 2.5(ბ) პუნქტის გათვალისწინებით, საქმეები, რომლებზეც განხორციელდა მონიტორინგი, დაიხურება მას შემდეგ, რაც IPAM-ი დაადგენს, რომ სრულყოფილად განხორციელდა პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი შეთანხმება.

2.6 შესაბამისობის შეფასება

- a) **მიზანი.** შესაბამისობის შეფასების მიზანს წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რამდენად ექვემდებარება განაცხადი შესაბამისობის შემოწმებას.
- b) **კრიტერიუმები.** საქმე შესაბამისობის შემოწმებას ექვემდებარება, თუ IPAM-ი მიიჩნევს, რომ:
 - i. წინასწარი განხილვისას აღმოჩნდება, რომ პროექტმა შესაძლოა გამოიწვიოს ან, სავარაუდოდ, გამოიწვევს განმცხადებლების (ან, სხვადასხვაობის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების) პირდაპირი ან ირიბი და მატერიალური ზიანი; და
 - ii. არსებობს მინიშნება, რომ ბანკი შეიძლება არ ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დებულებებს (მათ შორის ნებისმიერ დებულებას, რომელიც ბანკს ავალდებულებს განახორციელოს კლიენტის ვალდებულებათა მონიტორინგი); ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს, რომელიც ძალაში იყო პროექტის დამტკიცების პერიოდში.

შესაბამისობის შეფასების დროს ნებისმიერ პერიოდში ბანკის ხელმძღვანელობა შეიძლება დაეთანხმოს, რომ შესაბამისობის შემოწმების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, რათა დაჩქარდეს შესაბამისობის შემოწმების დაწყება.

- c) **მიდგომა.** IPAM-ი საქმეს შეაფასებს დოკუმენტაციის და წინა ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის, ასევე პროექტის შესახებ ნებისმიერი ახალი ინფორმაციის ან საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვის მეშვეობით. ამ ეტაპის განმავლობაში IPAM-ი ასევე:
 - i. გამართავს დისკუსიებს განმცხადებლებთან, ბანკის ხელმძღვანელობასთან, კლიენტთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;
 - ii. განიხილავს ბანკის ხელმძღვანელობის წერილობით პასუხს განაცხადზე, თუ ხელმძღვანელობის პასუხი მოთხოვნილი იქნა IPAM-ის მიერ, სადაც მითითებულია ბანკის მერ განსახორციელებელი ნაბიჯები, მის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; და
 - iii. განიხილავს კლიენტის წერილობით პასუხს განაცხადზე, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა მიიღო გადაწყვეტილება პასუხის გაგზავნის შესახებ.
- d) **შედეგი და ანგარიშგება.** შესაბამისობის შეფასების ეტაპის დასრულებისთანავე, IPAM-ი მოამზადებს შესაბამისობის შეფასების ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მისი დასკვნები და:
 - i. გასაცნობად წარუდგენს საბჭოს და პრეზიდენტს, თუ იგი გასცემს რეკომენდაციას შესაბამისობის შემოწმებაზე მუშაობის გაგრძელების შესახებ, დაადგენს რა, რომ 2.6(ბ) პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. შესაბამისობის შეფასების ანგარიშის წარდგენა მოხდება ამგვარი

შესაბამისობის შეფასების ტექნიკურ დავალებასთან ერთად, რომელიც მომზადებული იქნება განაცხადში მითითებული საკითხების საფუძველზე და სადაც განსაზღვრული იქნება მოქმედების სფერო, მეთოდები და პროფესიონალური ცოდნა, რომლებიც აუცილებელია განხილვის განსახორციელებლად, სიტუაციიდან გამომდინარე, ასევე განსაზღვრული იქნება შესაბამისობის შემოწმების სხვა სახელმძღვანელო პრინციპებიც. შესაძლებლობის ფარგლებში, IPAM-ი მხარეებთან გამართავს კონსულტაციებს ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესში; ან

- ii. მას დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს გასაჩივრების არარსებობის საფუძველზე, თუ IPAM-ი გასცემს რეკომენდაციას საქმის დახურვის შესახებ, დაადგენს რა, რომ 2.6(ბ) პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები დაკმაყოფილებული არ არის.

თითოეულ შემთხვევაში, IPAM-ი შეფასების ანგარიშს ხელმისაწვდომს გახდის განმცხადებლებისთვის, ბანკის ხელმძღვანელობისა და კლიენტისათვის და გამოაქვეყნებს მას საქმეთა რეესტრში.

2.7 შესაბამისობის შემოწმება

- a) **მიზანი.** შესაბამისობის შემოწმების მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თავისი მოქმედებებით ან უმოქმედობით არღვევს თუ არა ბანკი გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს, დამტკიცებულ პროექტთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ IPAM-ი დაასკვნის, რომ ბანკი არღვევს შესაბამისობას რომელიმე პოლიტიკის დოკუმენტთან, IPAM-ი გასცემს რეკომენდაციას გამოსწორებაზე მიმართული ზომების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ქმედებასა თუ უმოქმედობასთან, წინამდებარე 2.7 პუნქტის შესაბამისად. თუ დადგინდება EBRD-ის შეუსაბამობა, აღნიშნული ეტაპის შემდგომ მიზნებს წარმოადგენს:

- i. რეკომენდაციების გაცემა პროექტთან დაკავშირებული კონკრეტული ქმედებების შესახებ, პროექტთან მიმართებაში ბანკის შესაბამისობაში მოყვანის და იმ ზიანის ან შესაძლო ზიანის საკითხის გადაჭრის მიზნით, რომელიც შეუსაბამობის დასკვნებს უკავშირდება.
- ii. რეკომენდაციების გაცემა EBRD-ის პრაქტიკაში, პროცედურებში, სახელმძღვანელო მითითებებსა თუ სისტემებში ცვლილებების განხორციელების შესახებ, რომელთა განხორციელების დროსაც გამოყენებული უნდა იქნეს ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეუსაბამობის არსებული და მომავალი სიტუაციები, როგორც განაცხადით გათვალისწინებული პროექტთან, ასევე სხვა პროექტებთან მიმართებაშიც.
- iii. ინსტიტუციური გამოცდილებისა და შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა.

შესაბამისობის შემოწმება არ აფასებს კლიენტის მუშაობის შესრულების შესაბამისობას: იგი აფასებს ბანკის შესაბამისობას გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან.

- b) **კრიტერიუმები.** ითვლება, რომ ბანკი არ იცავს შესაბამისობას, თუ IPAM-ი დაადგენს, რომ თავისი მოქმედებებით ან უმოქმედობით იგი არღვევს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის რომელიმე დებულებას (მათ შორის დებულებას, რომელიც ბანკისგან მოითხოვს კლიენტის ვალდებულებების მონიტორინგს), ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს, პროექტთან მიმართებაში.
- c) **მიდგომა.** შესაბამისობის შემოწმების დროს IPAM-ი საქმეს განიხილავს 2.6(დ) პუნქტში მითითებული ტექნიკური დავალების საფუძველზე. IPAM-ი განიხილავს დოკუმენტაციას და წინა

ეტაპებზე შეგროვებულ ინფორმაციას, ასევე ნებისმიერ ახალ ინფორმაციას პროექტის შესახებ ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. კერძოდ, შესაბამისობის შემოწმების ფარგლებში IPAM-ი:

- i. გამართავს დისკუსიებს განმცხადებლებთან, ბანკის ხელმძღვანელობასთან, კლიენტთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;
- ii. ადგილზე გავა საპროექტო ზონაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც IPAM-ი ეფექტურ შეფასებისთვის საჭიროდ არ მიიჩნევს ამის განხორციელებას; ან/და
- iii. მოიწვევს კონსულტანტებს სპეციფიკურ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს IPAM-ი. კონსულტანტების მოწვევა განხორციელდება შესყიდვის წესებისა და 3.1(ი) პუნქტის შესაბამისად.

d) **შესაბამისობის შემოწმების ანგარიში.** შესაბამისობის შემოწმების დასრულებისთანავე, IPAM-ი მოამზადებს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მისი დასკვნები. თუ IPAM-ი დაადგენს, რომ ბანკის ქმედებები არ შეესაბამებოდა გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას ან/და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს პროექტთან მიმართებაში, შესაბამისობის შემოწმების ანგარიში:

- i. დაადგენს ბანკის კონკრეტულ ქმედებებს (ან უმოქმედობას), რამაც გამოიწვია შეუსაბამობის შესახებ დასკვნის გაკეთება; და
- ii. ბანკის ხელმძღვანელობას წარუდგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს შეუსაბამობის შესახებ დასკვნების აღმოსაფხვრელად:

a. პროექტის დონეზე, პროექტისთვის კონკრეტული ქმედებების განსაზღვრით, რათა მოხდეს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა და შეუსაბამობის დასკვნებთან დაკავშირებული ზიანის ან შესაძლო ზიანის აღმოფხვრა; და

b. პროცედურულ ან სისტემურ დონეებზე, EBRD-ის პრაქტიკაში, პროცესებში, სახელმძღვანელო მითითებასა თუ სისტემებში ცვლილებების განსაზღვრით, რათა მოხდეს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა და თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი ან ანალოგიური სიტუაციების განმეორება როგორც განაცხადით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში, ასევე სხვა პროექტებშიც.

IPAM-ის რეკომენდაციებით გათვალისწინებული იქნება ბანკის ან კლიენტის პროექტთან დაკავშირებული თავდაპირველი ვალდებულებები და, შესაძლოა, არ გაიცეს რეკომენდაცია განმცხადებელთათვის იმაზე მეტი კომპენსაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტით; და

iii. მოხდება მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის აღწერა, რომლის ინიცირება მოხდება მართვის სამოქმედო გეგმის მომზადებისა და დამტკიცების შემდეგ.

ამის შემდეგ, IPAM-ი მხარეებს გადასცემს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშს კომენტარის გაკეთების მიზნით და განიხილავს ნებისმიერ ამგვარ კომენტარს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას.

2.7.1 პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს IPAM-ის მიერ ბანკის შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში:

a) **მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.** შეუსაბამობის დადგენისთანავე, IPAM-ი ბანკის ხელმძღვანელობას გაუგზავნის შესაბამისობის შემოწმების ანგარიშს, რათა საპასუხოდ მომზადებული იქნეს მართვის სამოქმედო გეგმა. შეუსაბამობის თითოეული შემთხვევისთვის, მართვის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება:

- i. აქტივობები კონკრეტული პროექტისთვის, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ, რათა მოხდეს პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფა და აღმოიფხვრას შეუსაბამობით გამოწვეული ზიანი ან შესაძლო ზიანი, შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის რეკომენდაციების შესაბამისად;
- ii. ცვლილებები EBRD-ის პრაქტიკაში, პროცედურებში, სახელმძღვანელო მითითებებში ან სისტემებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის შესაბამისობა და თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი ან ანალოგიური სიტუაციების გამეორება (განაცხადში გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში ან სხვა პროექტებში), შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის რეკომენდაციების შესაბამისად;
- iii. განხორციელების გეგმა და ვადები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს, რათა შესრულდეს მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულებები; და
- iv. ადამიანური რესურსებისა და ფულადი სახსრების შეფასებითი მაჩვენებელი, რომელიც აუცილებელია მართვის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად.

b) **ხელმძღვანელობის საპასუხო ზომების შემუშავება.** ბანკის ხელმძღვანელობამ შეიძლება ასევე მოამზადოს ხელმძღვანელობის საპასუხო ზომები, რომელიც,

მიზანშეწონილობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის დასკვნების განხილვას.

c) **მართვის სამოქმედო გეგმისა და ხელმძღვანელობის საპასუხო ზომების გავრცელება.** ბანკის ხელმძღვანელობა IPAM-ს წარუდგენს მართვის სამოქმედო გეგმის პროექტს (და ხელმძღვანელობის საპასუხო ზომებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში). IPAM-ი, მართვის სამოქმედო გეგმის პროექტს მიღებისთანავე გაუგზავნის განმცხადებლებს (ან მათ წარმომადგენლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში) განსახილველად და კომენტარების გაკეთების მიზნით და გასაცნობად დაურთავს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშს.

d) **შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიის შემუშავება.** მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ განმცხადებლების ან წარმომადგენლების კომენტარების მიღების შემდეგ, IPAM-ს ექნება შესაძლებლობა გადახედოს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის რეკომენდაციებს (მაგრამ არა დასკვნებს) და მხედველობაში მიიღოს განმცხადებლების ან წარმომადგენლების კომენტარები დოკუმენტისთვის საბოლოო სახის მიცემისას.

e) **მართვის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება.** (ა) განმცხადებლების ან მათი წარმომადგენლების მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ კომენტარების და (ბ) შესაბამისობის შემოწმების საბოლოო ანგარიშის მიღების შემდეგ ბანკის ხელმძღვანელობას ექნება შესაძლებლობა გადახედოს მართვის სამოქმედო გეგმას და მხედველობაში მიიღოს განმცხადებლების ან მათი წარმომადგენლების კომენტარები და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემოწმების შესწორებული ვერსიის რეკომენდაციები დოკუმენტისთვის საბოლოო სახის მიცემისას.

- f) **შესაბამისობის შემოწმების დოკუმენტების წარდგენა და გასაჯაროება ბანკის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში.** პროექტთან მიმართებაში შესაბამისობის დადგენისთანავე, IPAM-ი პრეზიდენტსა და საბჭოს წარუდგენს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიას; მართვის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას; ხელმძღვანელობის საპასუხო ზომებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; და მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ განმცხადებლების ან წარმომადგენლების კომენტარებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საბჭოს წარედგინება მართვის სამოქმედო გეგმა გადაწყვეტილების მისაღებად; შესაბამისობის დასკვნასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები საბჭოს წარედგინება გაცნობის მიზნით.

IPAM-ის ხელმძღვანელი შეატყობინებს საბჭოს სათანადოდ შეესაბამება თუ არა, IPAM-ის მოსაზრებით, მართვის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიით განსაზღვრული ვალდებულებები შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მთლიანად საბჭოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მართვის სამოქმედო გეგმის მიღება ან მასზე უარის თქმა, რომელიც თავის გადაწყვეტილებაში ეფუძნება იმას თუ მართვის სამოქმედო გეგმა რამდენად ა) სათანადოდ შეესაბამება შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებს; და ბ) რამდენად შესაძლებელია პროექტის შესაბამისობაში მოყვანა გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან. თუ საბჭო უარს იტყვის მართვის სამოქმედო გეგმაზე, იგი დაუბრუნდება ბანკის ხელმძღვანელობას განსახილველად და მოხდება მისი საბჭოსთვის ხელმეორედ წარდგენა დასამტკიცებლად.

IPAM-ი შესაბამისობის შემოწმების დოკუმენტების საბოლოო ვერსიებს (მაგ. შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიას; დამტკიცებულ მართვის სამოქმედო გეგმას; ხელმძღვანელობის

საპასუხო ზომებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; და განმცხადებლების ან მათი წარმომადგენლების კომენტარებს მართვის გეგმის პროექტის შესახებ) გადასცემს მხარეებს და გამოაქვეყნებს მათ საქმეთა რეესტრში.

2.7.2 პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს IPAM-ის მიერ ბანკის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში:

- a) **შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის წარდგენა და გასაჯაროება ბანკის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში.** პროექტთან მიმართებაში შესაბამისობის დადგენისთანავე, IPAM-ი პრეზიდენტსა და საბჭოს წარუდგენს შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიას გაცნობისა და საქმის დახურვის მიზნით. IPAM-ი შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიას გადასცემს მხარეებს და გამოაქვეყნებს მას საქმეთა რეესტრში.

2.8 მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

- a) **მიზანი.** IPAM-ი განახორციელებს დამტკიცებული მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგს შესაბამისობის დადგენის კონტექსტში, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისობის შემოწმების ანგარიშში.
- b) **კრიტერიუმები.** მართვის სამოქმედო გეგმები ჩაითვლება განხორციელებულად, თუ ისინი დააკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:
- დოკუმენტებით გათვალისწინებული გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად ხორციელდება; და
 - დაცულია განხორციელების ვადები.
- c) **მიდგომა.** მონიტორინგის საქმიანობის დროს IPAM-მა შეიძლება:
- კონსულტაციები გამართოს განმცხადებლებთან, კლიენტთან, ბანკის ხელმძღვანელობასთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;

- ii. განიხილოს საპროექტო დოკუმენტაცია, განმცხადებელთა (ან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ წარმომადგენელთა) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია;
- iii. განიხილოს ბანკის ხელმძღვანელობისგან მიღებული მონიტორინგის განახლებული მონაცემების შინაარსი. ბანკის ხელმძღვანელობა ვალდებული იქნება აცნობოს IPAM-ს თითოეული დამტკიცებული მართვის სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსთან დაკავშირებით, სულ მცირე წელიწადში ორჯერ;
- iv. ადგილზე გავიდეს საპროექტო ზონაში, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს IPAM-ი; ან
- v. მოიწვიოს კონსულტანტები სპეციფიკურ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს IPAM-ი. კონსულტანტების მოწვევა განხორციელდება შესყიდვის წესებისა და 3.1(ი) პუნქტის შესაბამისად.

d) **მონიტორინგის ანგარიშგება.** IPAM-ი გამოსცემს მონიტორინგის ანგარიშებს, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ, რათა:

- i. აღწეროს IPAM-ის მიმდინარე მონიტორინგის ღონისძიებები თითოეულ მომდინარე საქმესთან მიმართებაში; და
- ii. წარმოადგინოს მართვის თითოეული სამოქმედო გეგმის განხორციელების განახლებული მონაცემები შეუსაბამობის დასკვნის კონტექსტში, ვიდრე IPAM-ი განსაზღვრავს, რომ მართვის სამოქმედო გეგმა სრულყოფილად განხორციელდა.

მონიტორინგის ანგარიშები გასაცნობად წარედგინებათ საბჭოს და პრეზიდენტს, ხელმისაწვდომი იქნება განმცხადებლებისათვის, ბანკის ხელმძღვანელობისა და კლიენტისთვის და გამოქვეყნდება საქმეთა რეესტრში. საჭიროების შემთხვევაში, IPAM-ი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მართვის სამოქმედო გეგმების განხორციელების ან შეუსაბამობის სხვა ნებისმიერი გადაუჭრელი საკითხის შესახებ, კვარტალური ანგარიშგების ფარგლებში ან საჭიროების შემთხვევაში.

საქმეები, რომლებზეც მონიტორინგი განხორციელდა, დაიხურება მას შემდეგ, რაც IPAM-ი დაადგენს, რომ შესაბამისი მართვის სამოქმედო გეგმა სრულყოფილად განხორციელდება 2.8(ბ) პუნქტის შესაბამისად.

3. სხვა დებულებები

3.1 საქმის განხილვის ზოგადი დებულებები

- a) **საქმის შესახებ ინფორმაციის გაცემა.** IPAM-მა დროულად უნდა მოახდინოს განმცხადებლების (ან მათი წარმომადგენლების, ასეთების არსებობის შემთხვევაში) ინფორმირება განაცხადის სტატუსთან დაკავშირებით.
- b) **საქმეთა რეესტრი.** IPAM-ი თავის ვებგვერდზე აწარმოებს საქმეთა საჯაროდ ხელმისაწვდომ რეესტრს, რომელიც შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს აწვდის უახლეს ინფორმაციას თითოეული რეგისტრირებული განაცხადის ტიპისა და სტატუსის შესახებ. საქმეთა რეესტრი განსაზღვრავს IPAM-ის მიერ განაცხადის მიღების თარიღს, განაცხადში მითითებული პროექტის სახელწოდებას და ადგილმდებარეობას, პროექტის განმახორციელებელ კლიენტს, და კონფიდენციალურობის მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, განმცხადებელთა (და, მათი წარმომადგენლების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობას. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული საქმის ფარგლებში შემუშავებული ყველა ანგარიში გამოქვეყნდება საქმეთა რეესტრში.

IPAM-ის ანგარიშებსა და საქმეთა რეესტრში მითითებული იქნება, სად არ მოხდება ინფორმაციის გასაჯაროება კონფიდენციალურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე.

- c) **დამოკიდებულება საქმესთან დაკავშირებული სამუშაოს მიმართ.** IPAM-ი შეეცდება:
 - i. საქმესთან დაკავშირებული სამუშაო განახორციელოს უმოკლეს ვადებში, ისე რომ საფრთხე არ შეუქმნას თითოეული საქმის ყურადღებით განხილვას; და

- ii. მინიმუმამდე დაიყვანოს მხარეთა ოპერაციების ყოველდღიური დარღვევები, ამასთანავე აღიაროს განმცხადებელთა, ბანკის ხელმძღვანელობის, კლიენტებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინების მნიშვნელობა.

d) **მსგავსი განაცხადები.** ერთი და იმავე პროექტთან დაკავშირებული ორი ან ორზე მეტი განაცხადის მიღების შემთხვევაში და თუ განაცხადების არსი მნიშვნელოვნად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, IPAM-ი განმცხადებლებს შეატყობინებს აღნიშნულის შესახებ და შეიძლება მოითხოვოს, რომ:

- i. განაცხადები განხილული იქნეს ერთად; ან
- ii. ბოლო განაცხად(ებ)ის განხილვა შეჩერდეს, ვიდრე არ დასრულდება პირველი განაცხადის განხილვა.

e) **თანამშრომლობა ანგარიშვალდებულების სხვა დამოუკიდებელ მექანიზმებთან (IAMs).** თუ დარეგისტრირებული განაცხადის შესაბამისი პროექტი ექვემდებარება თანადაფინანსებას სხვა დაწესებულებების მიერ, IPAM-ი შეატყობინებს თანადაფინანსებელი დაწესებულებ(ებ) ის ანგარიშვალდებულების მექანიზმ(ებ) ს განაცხადის რეგისტრაციის შესახებ და მოუწოდებს მათ აცნობონ თავიანთ შესაბამის მმართველ გუნდებს, რომ გაიგონ და გაითვალისწინონ საკუთარი პროექტის შეფასებისას ან/და განხორციელების დროს. აუცილებლობის შემთხვევაში, IPAM-მა ანგარიშვალდებულების სხვა დამოუკიდებელ მექანიზმებს შეიძლება აცნობოს ისეთი რეგისტრირებული განაცხადის შესახებაც, რომელიც არ ექვემდებარება თანადაფინანსებას, მაგრამ განლაგებულია საქმიანობის გადაკვეთის ქვეყნებში თუ ტერიტორიებზე.

სხვა ინსტიტუციების ანგარიშვალდებულების მექანიზმ(ებ)ის მიერ ერთსა და იმავე პროექტთან დაკავშირებული ანალოგიური განაცხადის ან საჩივრის მიღების

შემთხვევაში, როდესაც განაცხადების არსი მნიშვნელოვნად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, IPAM-მა შეიძლება ითანამშრომლოს აღნიშნულ მექანიზმებთან წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ საქმეები წარიმართოს ეფექტურად და მოხდეს დუბლირებული პროცესების და გადაჭარბებული შეფერხებებისა თუ მხარეებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილება. სხვა დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმებთან ერთობლივ საქმეებში თანამშრომლობისას IPAM-მა უნდა უზრუნველყოს სათანადო ოქმების არსებობა, რომელთა მიზანია დაარეგულიროს ერთობლივი განაცხადის დამუშავების საკითხები, რომლებიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): განმცხადებელთა კონფიდენციალურობას; განმცხადებლის, კლიენტისა და ბანკის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას; მუქარის რისკის შეფასებას და შემარბილებელ ღონისძიებებს; და სხვა შესაბამის საკითხებს. მიზანშეწონილობის შემთხვევაში, IPAM-ი გააფორმებს წერილობით თანამშრომლობის შეთანხმებას ან ურთიერთგაგების მემორანდუმს თანადაფინანსებელი დაწესებულებ(ებ) ის ანგარიშვალდებულების მექანიზმ(ებ) თან, რათა გადაწყდეს ერთობლივი საქმის დამუშავების საკითხები.

თუ განაცხადი ან საჩივარი წარდგენილი იქნება მხოლოდ თანადაფინანსებელ დაწესებულებაში, მაგრამ იგი დაკავშირებულია EBRD-ის კლიენტთან და IPAM-ი ინფორმირებულია თანადაფინანსებელი დაწესებულების დამოუკიდებელი ანგარიშის მექანიზმის მიერ, IPAM-ი შეატყობინებს ბანკის ხელმძღვანელობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, საბჭოსაც, როდესაც ამგვარი საქმეების შესახებ საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება.

f) **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** საქმესთან დაკავშირებით, IPAM-ის პერსონალს ექნება სრული და პირდაპირი წვდომა ბანკის შესაბამის პერსონალზე და პროექტის ყველა დოკუმენტზე (მათ შორის დოკუმენტებზე როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით) და მათთვის ხელმისაწვდომი იქნება კარადები და სასაწყობე სათავსები.

ბანკის ხელმძღვანელობა და ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მოწვეული კონსულტანტები ვალდებული იქნებიან სრულფასოვნად ითანამშრომლონ IPAM-ის პერსონალთან.

IPAM-ის მიერ თავისი საქმიანობის დროს შეგროვილი ინფორმაციის გაცემა დაექვემდებარება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკას და სხვა ნებისმიერ მოქმედ ვალდებულებებს, რათა დაცული იქნეს სენსიტიური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

საჭიროებისა და სხვა წყაროების მეშვეობით მიუწვდომლობის შემთხვევაში, IPAM-მა შეიძლება ზოგადად მიუთითოს არასაჯარო ინფორმაციაზე, შესაბამის მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ.

- g) **სახელშეკრულებო ვალდებულებები.** ბანკსა და კლიენტს შორის ფინანსური შეთანხმება მოიცავს კლიენტის ვალდებულებას IPAM-ს გადასცეს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია საქმესთან მიმართებაში, ბანკის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე და ექვემდებარება ნებისმიერ მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს.

- h) **ინტერესთა კონფლიქტი.** IPAM-ის პერსონალმა და IPAM-ის მიერ მოწვეულმა კონსულტანტებმა უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად.

IPAM-ის თანამშრომელმა ან IPAM-ის მიერ მოწვეულმა კონსულტანტმა, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი საქმესთან მიმართებაში, IPAM-ის ხელმძღვანელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ და შეწყვიტოს საქმესთან დაკავშირებული საქმიანობა.

თუ IPAM-ის ხელმძღვანელს გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი საქმესთან მიმართებაში, მან საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ, შეწყვიტოს საქმესთან დაკავშირებული საქმიანობა და დანიშნოს IPAM-ის თანამშრომელი მისი მოვალეობების შესასრულებლად აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში.

- i) **კონსულტანტები.** IPAM-ის ფუნქციების განხორციელების დროს, IPAM-ის მიერ მოწვეული კონსულტანტები სამუშაოს შეასრულებენ თავიანთი ინდივიდუალური, პიროვნული შესაძლებლობების ფარგლებში და ისარგებლებენ ქცევის კოდექსის დებულებების იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, დაექვემდებარებიან ინტერესთა კონფლიქტის წესებისა და კონფიდენციალურობის იმავე დებულებებს, რომლებსაც ექსპერტები, რომლებიც ბანკის მისიას ასრულებენ. კონსულტანტები საქმიანობას განახორციელებენ IPAM-ის ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

- j) **განაცხადების ზემოქმედება ბანკის პროექტებზე და გადაუდებელი ღონისძიებები.** განაცხადის დარეგისტრირება თავისთავად არ გამოიწვევს პროექტში ბანკის ინტერესების შეჩერებას. თუმცა, თუ განაცხადის დამუშავების ნებისმიერ მომენტში IPAM-ი მიიჩნევს, რომ ბანკის მიერ პროექტის დამუშავება ან პროექტთან დაკავშირებული სახსრების გამოყოფა გამოიწვევს სერიოზულ და გამოუსწორებელ ზიანს, IPAM-მა შეიძლება გასცეს დროებითი რეკომენდაციები ბანკის მიერ გამოსწორებაზე მიმართული ზომების განსახორციელებლად, მათ შორის ბანკის მიერ პროექტის შემდგომი დამუშავების შეჩერების ან სახსრების გამოყოფის შეჩერების შესახებ. გადაწყვეტილება რეკომენდაციის შესახებ მიიღება საბჭოს ან EBRD-ის სხვა ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელზეც საბჭომ მოახდინა პროექტის დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება. საბჭომ ან EBRD-ის სხვა ნებისმიერმა კომპეტენტურმა ორგანომ, რომელზეც საბჭომ მოახდინა პროექტის დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება, მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების, ასევე არსებული სახელშეკრულებო შეთანხმებების გათვალისწინებით, უნდა განიხილოს, აქვს თუ ბანკს უფლება განახორციელოს რაიმე ამგვარი რეკომენდებული ქმედება. IPAM-ის რეკომენდაციები და საბოლოო გადაწყვეტილება გამოქვეყნდება საქმეთა რეესტრში.

k) **მუქარასთან დაკავშირებულ პრობლემებთან დამოკიდებულება.**
IPAM-ი არ ურიგდება განმცხადებელთა ან IPAM-ის პროცესებსა თუ საინფორმაციო კამპანიებში ჩართული სხვა ნებისმიერი პირის მიმართ მუქარას და გმობს მუქარის, დაშინების, შეურაცხყოფის, ძალადობის ან დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რომელიც ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მათ საკუთარი უფლებები გამოიყენეს პრობლემების გადაჭრის მიზნით.

IPAM-ის მიზანია გადადგას ნაბიჯები, რათა (ა) შეაფასოს მუქარის რისკი IPAM-ის პროცესებსა და საინფორმაციო კამპანიებში ჩართული პირების მიმართ, და (ბ) განახორციელოს მუქარის რისკის შემარბილებელი ღონისძიებები განაცხადებთან ან საინფორმაციო კამპანიებთან დაკავშირებით, განმცხადებლებთან (ან მათ წარმომადგენლებთან, ასეთების არსებობის შემთხვევაში) კონსულტაციების გამართვის შემდეგ, თუ IPAM-ი ინფორმირებულია განმცხადებლების (ან მათი წარმომადგენლების, ასეთების არსებობის შემთხვევაში) მიერ, რომ არსებობს მუქარის საშიშროება. ასეთ შემთხვევებში, IPAM-ი დაიწყებს რისკის გარემოს და მუქარის პოტენციური ან ფაქტობრივი რისკის კაბინეტურ ანალიზს, რომელიც მიმართულია განმცხადებლების ან სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობენ IPAM-ის პროცესებში განაცხადის რეგისტრაციის პროცესის ფარგლებში და განიხილავს შესაბამის განსახორციელებელ ზომებს. IPAM-ს არ ამოძრავებს ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო ორგანოების, დაცვის სამსახურებისა და სამართალდამცველი უწყებების მოვალეობების შეთავსების განზრახვა, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს საზოგადოების დაცვა ამგვარ სიტუაციებში.

l) **ფინანსური ინტერესის დაკარგვა.**
თუ ბანკი საქმესთან დაკავშირებული სამუშაოების დროს წყვეტს ფინანსური ინტერესის ქონას შესაბამისი პროექტის მიმართ, სრული ანაზღაურების, თანხის ავანსად გამოყოფის, განკარგვის ან სხვა მიზეზის გამო, IPAM-ი გააგრძელებს:

i. შესაბამისობის შეფასების ან შესაბამისობის შემოწმების განმავლობაში ბანკის შესაბამისობის შეფასებას 2.6-2.7 პუნქტების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისობის შემოწმების ანგარიშში მოცემული IPAM-ის რეკომენდაციები და მართვის სამოქმედო გეგმით შემოთავაზებული ბანკის ნებისმიერი შემდგომი ვალდებულებები შეიძლება ითვალისწინებდეს კლიენტთან ურთიერთობის გაწყვეტას; ან

ii. პრობლემების გადაწყვეტის დროს, 2.4 პუნქტით გათვალისწინებულ მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობას, ვიდრე ინიციატივა არ შეწყდება (i) მხარის მიერ პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივიდან გასვლის გამო ან (ii) IPAM-ის გადაწყვეტილებით, რომ ეს არ მოიტანს დადებით შედეგებს, როგორც გათვალისწინებულია 2.4(გ) პუნქტით;

iii. მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ან პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმების მონიტორინგის დროს, მართვის სამოქმედო გეგმის ან პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმების მონიტორინგს, 2.5 და 2.8 პუნქტების შესაბამისად. თუმცა, IPAM-ი მხედველობაში მიიღებს კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტას, როდესაც განიხილავს საკითხს იმის შესახებ განხორციელდა თუ არა მართვის სამოქმედო გეგმა ან პრობლემების გადაწყვეტის შეთანხმება 2.5 და 2.8 პუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

m) **ფინანსური ინტერესის არარსებობა.**
თუ, განაცხადის რეგისტრირების დროს, ბანკს არ გააჩნია ფინანსური ინტერესი შესაბამის პროექტში, სრული ანაზღაურების, თანხის ავანსად გამოყოფის, განკარგვის ან სხვა მიზეზის გამო, საქმე პირდაპირ გადაეცემა შესაბამისობის შეფასებისთვის და არ მიიჩნევა დასაშვებად პრობლემების გადაწყვეტის მიზნებისათვის. თუ ამგვარი

საქმე დასაშვებად მიიჩნევა შესაბამისობის
შესამოწმებლად, შესაბამისობის შემოწმების
ანგარიშში წარმოდგენილი IPAM-ის
რეკომენდაციები და მართვის სამოქმედო
გეგმით გათვალისწინებული ბანკის
ნებისმიერი შემდგომი ვალდებულებები
შეიძლება ითვალისწინებდეს კლიენტთან
ურთიერთობის შეწყვეტას.

- n) **ვადები.** განაცხადის მიღების შემდეგ,
IPAM-ი შეეცდება საქმე განიხილოს ქვემოთ
მოცემულ ცხრილ 1-ში მითითებულ ვადებში.

ეტაპი	ძირითადი აქტივობები
განაცხადის მიღება	განაცხადის მიღების დადასტურება: უმოკლეს ვადაში და მიღების მომენტიდან 10 სამუშაო დღეში.
რეგისტრაცია	- გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ: განაცხადის დადასტურების თარიღიდან 21 სამუშაო დღეში. - თუ აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა განმცხადებლების შხრიდან, რათა IPAM-მა მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის დარეგისტრირების შესახებ, განმცხადებლებს საჭირო ინფორმაციის წარმოსადგენად მიეცემა 15 სამუშაო დღე IPAM-ის მოთხოვნის მომენტიდან. - თუ განაცხადი შეჩერებულია და გადაგზავნილია ბანკის შესაბამის დეპარტამენტში 2.2(ვ) პუნქტით გათვალისწინებული საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც წარმოიშვა განაცხადის დარეგისტრირების გარეშე, ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა არაუმეტეს 45 სამუშაო დღისა (IPAM-ის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში), რათა გამოავლინოს კეთილსინდისიერი ძალისხმევა გარემოსდაცვით, სოციალური თუ გასაჯაროების საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით, რომლებიც განაცხადშია მითითებული, ვიდრე IPAM-ი განიხილავს შეჩერების გაუქმებას.
შეფასება	შეფასების დასრულება და შეფასების ანგარიშის წარდგენა საბჭოში აუდიტის კომიტეტის მეშვეობით: განაცხადის დარეგისტრირებიდან 40 სამუშაო დღეში.
პრობლემების გადაწყვეტა	- პრობლემების გადაწყვეტის დასრულება: ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საკითხების ხასიათის, სირთულის, მასშტაბების და სხვა ფაქტორების მიხედვით, როგორცაა, მაგალითად მხარეთა ჩართულობა და გადაწყვეტილებები მთელი ინიციატივის განმავლობაში. პრობლემების გადაწყვეტის განრიგის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განმცხადებლების, კლიენტისა და ინიციატივის სხვა მხარეების მიერ ერთობლივად. პრობლემის გაწყვეტის დასრულება მოსალოდნელია მხარეთა მიერ მისი გადაწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან ერთი (1) წლის ვადაში; თუმცა, პროცესის ვადა შეიძლება გაიზარდოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან IPAM-ის მიერ. - განმცხადებლებს, კლიენტებსა და პრობლემების გადაწყვეტის სხვა მხარეებს მიეცემა 10 სამუშაო დღე IPAM-ის მიერ პრობლემების გადაწყვეტის ანგარიშის სამუშაო ვერსიის გავრცელებიდან, რათა დაადასტურონ, რომ შესაძლებელია მისი გამოქვეყნება ან წარმოადგინონ კომენტარები კონფიდენციალურობის შეზღუდვასთან დაკავშირებით.
შესაბამისობის შეფასება	- იმ შემთხვევაში, თუ IPAM-ი გასცემს საქმის დახურვის რეკომენდაციას - შესაბამისობის შეფასების დასრულება და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით საბჭოსთვის შესაბამისობის შეფასების ანგარიშის წარდგენა: IPAM-ის მიერ შესაბამისობის შეფასების დაწყებიდან 60 სამუშაო დღეში. - იმ შემთხვევაში, თუ IPAM-ი გასცემს შესაბამისობის შემოწმების დაწყების რეკომენდაციას - შესაბამისობის შეფასების ანგარიშის დასრულება და მხარეთათვის ტექნიკური დავალების გადაცემა: IPAM-ის მიერ შესაბამისობის შეფასების დაწყებიდან 60 სამუშაო დღეში. - საჭიროების შემთხვევაში, ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა 21 სამუშაო დღე IPAM-ის მოთხოვნის თარიღიდან, რათა წერილობითი პასუხი წარადგინოს განაცხადზე. - განმცხადებლებს, ბანკის ხელმძღვანელობას და კლიენტებს მიეცემა 10 სამუშაო დღე IPAM-ის მიმართვის მომენტიდან, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარი დაურთონ შესაბამისობის შემოწმების ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიას.

ეტაპი	ძირითადი აქტივობები
შესაბამისობის შემოწმება	• შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის სამუშაო ვერსიის დასრულება: შესაბამისობის შეფასების ანგარიშის გამოქვეყნების მომენტიდან 140 სამუშაო დღის განმავლობაში. • განმცხადებლებს (ან მათ წარმომადგენლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა 10 სამუშაო დღე IPAM-ის მიმართვის მომენტიდან, რათა წარმოადგინონ შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის სამუშაო ვერსიის კომენტარები. • თუ IPAM-ი დაადგენს შეუსაბამობას: - o Bo ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა 30 სამუშაო დღე შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის პროექტის მიღების თარიღიდან, რათა IPAM-ს წარუდგინოს მართვის სამოქმედო გეგმის პროექტი და ხელმძღვანელობის საპასუხო ზომები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). - o განმცხადებლებს (ან მათ წარმომადგენლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში) მიეცემა 20 სამუშაო დღე IPAM-ის მიმართვის თარიღიდან, რათა წარმოადგინონ მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის კომენტარები. - o IPAM-ს მიეცემა 10 სამუშაო დღე განმცხადებლების (ან მათი წარმომადგენლების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის კომენტარების მიღებიდან, შესაბამისობის შემოწმების ანგარიშის საბოლოო ვერსიის შემუშავებისთვის. - o ხელმძღვანელობას მიეცემა 15 სამუშაო დღე შესაბამისობის შემოწმების პროექტისა და განმცხადებლების (ან მათი წარმომადგენლების) კომენტარების მიღების თარიღიდან მართვის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შესამუშავებლად.
მონიტორინგი	• მონიტორინგის ანგარიშის გამოცემა: სულ მცირე, წელიწადში ორჯერ, თუ IPAM-ი არ გადაწყვეტს, რომ მიღწეული იქნა პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი შეთანხმება ან მართვის სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია 2.5 და 2.8 პუნქტებით. - o ბანკის ხელმძღვანელობას მიეცემა 10 სამუშაო დღე IPAM-ის მოთხოვნის თარიღიდან, რათა წარადგინოს მართვის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის განახლებული მონაცემები. - o მხარეებს მიეცემა 10 სამუშაო დღე IPAM-ის მიმართვის თარიღიდან, რათა წარმოადგინონ პრობლემების გადაჭრის შეთანხმების შესახებ მონიტორინგის ანგარიშის პროექტის კომენტარები.

o) ვადის გაგრძელება.

- i. **თარგმნის მოთხოვნები.** საქმის დამუშავება, იმ შემთხვევაში, როდესაც ინგლისური ენა არ წარმოადგენს სამუშაო ენას, პასუხისთვის მოითხოვს დამატებით დროს თარგმნის საჭიროებიდან გამომდინარე. საქმის განხილვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრული სამუშაო დღეების რაოდენობა არ მოიცავს იმ სამუშაო დღეებს, რომლებიც საჭიროა თარგმნის აუცილებელი მომსახურების შესყიდვისა და მიღებისთვის.

IPAM-ი განმცხადებლებს (ან მათ წარმომადგენლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში) დროულად აცნობებს საქმის იმ პერიოდით გადავადების შესახებ, რომელიც საჭიროა თარგმნისთვის.

- ii. **გამონაკლისი შემთხვევები.** კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში მითითებული დროის პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს IPAM-ის მიერ იმ დრომდე, სადამდეც ეს უკიდურეს აუცილებლობას

წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია IPAM-ის მიერ ან მოთხოვნილია მხარეთაგან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს განაცხადების ან/და საქმეების სათანადოდ დამუშავება. იმის განხილვისას, აუცილებელია თუ არა ვადის გაგრძელება, IPAM-ი მხედველობაში მიიღებს ფაქტორებს, რომლებიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს: განმცხადებლების მიერ განსაზღვრული შესაძლებლობების საკითხებს; საპროექტო უბნის ადგილმდებარეობას; მხარეთა მონაწილეობის მნიშვნელობას საქმის განხილვის პროცესში, მათ შორის, IPAM-ის ანგარიშებზე კომენტარის წარდგენას; მუქარის რისკის შეფასებას და მუქარის რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებას; პროექტთან და საქმესთან დაკავშირებულ გადაუდებელ საკითხებს; IPAM-ის პერსონალის ხელმისაწვდომობას; წვდომისა და აკომოდაციის ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც განსაზღვრულია 3.2 და 3.1(დ) პუნქტებით განსაზღვრულ შესაბამისი განაცხადების განხილვას. IPAM-ი დაუყოვნებლივ აცნობებს საქმის მხარეებს ვადის ნებისმიერი გაგრძელების შესახებ და საქმეთა რეესტრში გააკეთებს აღნიშვნას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ვადის გაგრძელება დროში უნდა იყოს შეზღუდული და, თუკი აუცილებელი იქნება ვადის დამატებით გაგრძელება, ამის შესახებ ეცნობება ყველა მხარეს.

3.2 საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგი

- a) **საინფორმაციო კამპანიების ჩატარების მანდატი.** IPAM-ის შესაძლებლობა განახორციელოს თავისი ვალდებულება, დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე ეფექტური ურთიერთქმედება ჰქონდეს დაინტერესებულ მხარეებთან. IPAM-ს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს საინფორმაციო კამპანიები როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეუწყოს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტისა და IPAM-ის

მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას. IPAM-ი ამ მიზნით შეიმუშავებს საინფორმაციო კამპანიების პროგრამას. საინფორმაციო კამპანიები მოიცავს თანამშრომლობას სხვა დაწესებულებების ანგარიშვალდებულების მექანიზმებთან, გარემოებებიდან გამომდინარე.

- b) **წვდომის ბარიერების შემცირება.** IPAM-ის მიზანია რეაგირება მოახდინოს იმ შეზღუდვებზე, რომლებიც დაინტერესებულ პირებს ხელს უშლის IPAM-ზე წვდომაში, საქმეებში ჩართულობასა და საინფორმაციო კამპანიის ინიციატივებში. IPAM-ის მიზანია იქნება მოწყვლად ადამიანებთან და ჯგუფებთან ურთიერთქმედება EBRD-ის ტერიტორიებზე ან საქმიანობის განხორციელების ქვეყნებში და დაინტერესებული მხარეების წვდომის ეფექტიანი და ხარჯთეფექტური გაფართოება.
- c) **წვდომა ურთიერთქმედების ინსტრუმენტების მეშვეობით.** IPAM-ი შეიმუშავებს, გამოაქვეყნებს და გაავრცელებს მთელ რიგ მასალებს ურთიერთქმედების მიზნით, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, IPAM-ის ვალდებულებების, პოლიტიკის, ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. მიზანშეწონილობის შემთხვევაში, IPAM-ი გამართავს გარე კონსულტაციებს ამგვარი მასალების შემუშავების თაობაზე, რათა ხელი შეუწყოს მათ ხელმისაწვდომობას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის. IPAM-ი ასევე აწარმოებს ინტერაქტიულ ვებგვერდს, რომლის მეშვეობითაც იგი გაავრცელებს თავის სამუშაოსთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და მასალებს. IPAM-ი სათაო ოფისისა და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობების თანამშრომლებს ხელს შეუწყობს, რათა მოახდინონ IPAM-ის ინფორმაციის ინტეგრირება ბანკის სხვა საქმიანობასა და პუბლიკაციებში. მოხდება ბანკის თანამშრომლების წახალისება, რათა ხელი შეუწყონ IPAM-ის ძალისხმევას პოპულარიზაცია გაუწიოს თავისი ფუნქცი-მოვალეობებს.

d) **მისაწვდომობა შესაბამისი ენის გამოყენების მეშვეობით.** IPAM-ის მიზანს წარმოადგენს ეფექტური კომუნიკაცია და თავისი ანგარიშებისა და საქმიანობის გასაჯაროება შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. მიუხედავად იმისა, რომ IPAM-ის სამუშაო ენას ინგლისური წარმოადგენს, IPAM-ის მიზანია ანგარიშებისა და საკომუნიკაციო მასალების შესაბამის ადგილობრივ ენებზე ხელმისაწვდომობაც, რადგან აუცილებელია შეიქმნას და შენარჩუნდეს წვდომა IPAM-ზე.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ, რუსულ და არაბულ ენებზე და მოხდება მათი ეტაპობრივი თარგმნა იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების სახელმწიფო ენებზე, სადაც EBRD-ი ახორციელებს საქმიანობას.

თუ IPAM-ის საქმის რომელიმე მხარე ან დაინტერესებულ პირთა ჯგუფი საინფორმაციო კამპანიების კონტექსტში, არ ფლობს ინგლისურ ენას, IPAM-ი შეეცდება შესთავაზოს კომუნიკაცია შესაბამის ადგილობრივ ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის სახით. იმისათვის, რომ შემცირდეს ენობრივი ბარიერი წვდომაზე:

- i. განაცხადის გაგზავნა შესაძლებელია იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების სახელმწიფო ენებზე, სადაც EBRD-ი ახორციელებს საქმიანობას ან, ასევე, EBRD-ის ნებისმიერ სხვა ოფიციალურ ენაზე (მაგ. ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ან გერმანულ ენებზე);
- ii. IPAM-ის საქმიანი მიმოწერა განმცხადებლებთან (ან მათ წარმომადგენლებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარიმართება განაცხადში გამოყენებულ და ინგლისურ ენებზე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მხარეები არ ფლობენ ინგლისურ ენას;²
- iii. საქმესთან დაკავშირებულ შეხვედრებსა და საინფორმაციო კამპანიებში შემოთავაზებული იქნება თარგმანის მომსახურება შესაბამის ადგილობრივ

ენაზე, მოთხოვნის შემთხვევაში, ან თუ ჩაითვლება მიზანშეწონილად;

iv. საქმესთან დაკავშირებული IPAM-ის ანგარიშები გადაითარგმნება განაცხადში გამოყენებულ ენაზე, თუ განმცხადებლები (ან მათი წარმომადგენლები, ასეთების არსებობის შემთხვევაში) არ ფლობენ ინგლისურ ენას; და

v. საინფორმაციო მასალები ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ, რუსულ და არაბულ ენებზე და მოხდება მათი ეტაპობრივი თარგმნა იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების სახელმწიფო ენებზე, სადაც EBRD-ი ახორციელებს საქმიანობას და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებით ენებზეც.

e) **ტრენინგი.** IPAM-ი ბანკის თანამშრომლებისა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფს ტრენინგებს და გაცნობითი ხასიათის მომსახურებებს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებასთან მიმართებაში. ტრენინგის ინიციატივები მორგებული უნდა იქნეს სწავლებისა და შესაძლებლობათა ზრდის საჭიროებებს, რომელთა განსაზღვრაც ხდება პირდაპირი უკუკავშირით და საქმეზე მუშაობისას მიღებული გამოცდილებით.

f) **ინსტიტუციური გამოცდილება.** ინსტიტუციური გამოცდილების ხელშეწყობისა და მართვის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების EBRD-ის პროექტებში ინტეგრირების მიზნით, IPAM-ი რეგულარულად მოახდენს მიღებული გამოცდილების გაზიარებას და ბანკის ხელმძღვანელობას შესთავაზებს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ეფუძნება საქმეებზე მუშაობის შედეგად მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას და ფაქტობრივ მონაცემებს. IPAM-ის სახელმძღვანელო მითითებებით და მიღებული გამოცდილებით მოხდება

1 ინგლისურენოვანი დოკუმენტის ტექსტის და სხვა ენაზე შესრულებული კორესპონდენციის ან დოკუმენტის ტექსტს შორის ნებისმიერი განსხვავების შემთხვევაში, ინგლისურენოვან ვერსიას ექნება უპირატესი ძალა.

საერთო და ურთიერთსაპირისპირო გამოწვევების განსაზღვრა, იგი უზრუნველყოფს კონსტრუქციულ რეკომენდაციებს და ხელს შეუწყობს EBRD-ში უწყვეტი სწავლების კულტურას. ამგვარი ინფორმაციის გაზიარება მოხდება მაშინ, როდესაც სისტემური მოცვისთვის სამუშაოს საკმარისი მოცულობა გახდება ხელმისაწვდომი.

IPAM-ი ბანკის ხელმძღვანელობას მიღებულ გამოცდილებასა და ნებისმიერ ანალოგიურ რეკომენდაციას გაუზიარებს, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი კრიტერიუმი:

- i. ამგვარი გამოცდილება პირდაპირ კავშირშია IPAM-ის ვალდებულებასთან გადაჭრას პრობლემები ან უზრუნველყოს EBRD-ის შესაბამისობა გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და
- ii. ამგვარი გამოცდილება მიმართულია საყურადღებო ან მატერიალური საკითხებისა თუ ტენდენციების გადასაჭრელად, რომლებიც თავს იჩენს IPAM-ის საქმეებზე მუშაობის შედეგად.

ინსტიტუციური გამოცდილების ინიციატივები განხორციელდება IPAM-ის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, IPAM-ი ბანკის ხელმძღვანელობას, მათ შორის აუდიტისა და შეფასების დეპარტამენტებს მიაწოდებს ინფორმაციას, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმიანობის დუბლირება. IPAM-ი ძირითადი მიგნებებისა და მათთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ ცნობებს გაავრცელებს:

- a. წერილობითი ფორმით, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი წლიური ანგარიშის მეშვეობით, რომელიც აღწერილია ნაწილში VIII და, აუცილებლობის შემთხვევაში, საინფორმაციო მასალებით;
- b. სემინარებისა და ბანკის ხელმძღვანელობასთან პირდაპირი

ურთიერთქმედების სხვა მექანიზმების მეშვეობით;

- c. EBRD-ის პოლიტიკის დოკუმენტების პროექტებზე ან სახელმწიფო და დარგობრივ სტრატეგიებზე ოფიციალური კომენტარების დართვით, თუ IPAM-ი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულს; და
- d. საბჭოში მისი წლიური ანგარიშის წარდგენით ან აუცილებლობის შემთხვევაში.

IPAM-მა შეიძლება იმუშაოს ბანკის ხელმძღვანელობასთან, რათა დოკუმენტურად აღრიცხოს ბანკის მიერ IPAM-ის ინსტიტუციური გამოცდილების რეკომენდაციების პასუხად განხორციელებული ცვლილებები.

3.3 ინსტიტუციური და ადმინისტრაციული დებულებები

- a) **პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ხელმძღვანელი (IPAM-ის ხელმძღვანელი).**
 - i. **IPAM-ის ხელმძღვანელის მოვალეობები.** IPAM-ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია IPAM-ის ფუნქციონირებაზე, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებასა და იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებზეც პასუხისმგებელია IPAM-ი წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით. IPAM-ის ხელმძღვანელი უშუალოდ ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე; IPAM-ის ხელმძღვანელი არ წარმოადგენს ბანკის ხელმძღვანელობის ნაწილს და არ არის ანგარიშვალდებული მის წინაშე.
 - ii. **IPAM-ის ხელმძღვანელის დასაქმების წინაპირობა.** IPAM-ის ხელმძღვანელს არ უნდა ჰქონდეს EBRD-ში მუშაობის გამოცდილება არც ერთ თანამდებობაზე (მაგ. ოპერატიული პერსონალის, დირექტორის, დირექტორის მოადგილის ან დირექტორის

მრჩევის პოზიციაზე) მისი IPAM-ის ხელმძღვანელად დანიშვნამდე, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში. EBRD-ის კონსულტანტებს არ ექნებათ უფლება შეასრულონ IPAM-ის ხელმძღვანელის მოვალეობები EBRD-თან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან სამი წლის განმავლობაში.

iii. IPAM-ის ხელმძღვანელის შერჩევა და თანამდებობაზე დანიშვნა.

IPAM-ის ხელმძღვანელს შეარჩევს შესარჩევი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის ბანკის წევრი და არაწევრი 6 პირი, კომიტეტი შედგება აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, ბანკის ხელმძღვანელობის ორი წევრისა და ორი გარე დაინტერესებული პირისაგან, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა ანგარიშვალდებულებისა და სოციალურ ან გარემოს დაცვის სფეროებში; ავლენენ შეუვალობას და დამოუკიდებლობას; გააჩნიათ მხარეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; ასევე გააჩნიათ ბანკში ან ანალოგიურ დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება.

შესარჩევ კომიტეტს თავმჯდომარეობს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო EBRD-ის ადამიანი რესურსების დეპარტამენტი წარმართავს ყველა ადმინისტრაციულ პროცესს. ადამიანური რესურსების განყოფილება, შესარჩევ კომიტეტთან კონსულტაციის შედეგად, შეარჩევს საკადრო სააგენტოს, ინტენსიური კვლევის ჩატარებისა და კანდიდატების სიის მომზადების მიზნით. შემდეგ შესარჩევი კომიტეტი განიხილავს შერჩეული კანდიდატების სიას, ჩაატარებს ტექნიკურ სკრინინგს და გასაუბრებას კანდიდატებთან და შეარჩევს კანდიდატს ხმათა უმრავლესობით. შერჩევის პროცედურების დასრულების შემდეგ, კომიტეტი რეკომენდაციას წარუდგენს პრეზიდენტს IPAM-ის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით. შერჩევის პროცესის დასრულებამდე,

გაიმართება შერჩეული კანდიდატის მოსმენა აუდიტის კომიტეტის წინაშე. პრეზიდენტი კონსულტაციას გამართავს საბჭოსთან აღმასრულებელ სხდომაზე, მისი დამტკიცების შესახებ საბჭოსთვის ოფიციალური რეკომენდაციის გაცემამდე. IPAM-ის ხელმძღვანელი წარმოადგენს მაღალი რანგის თანამდებობას, რაც ცხადად ასახავს დაწესებულებაში ამ მექანიზმის როლის მნიშვნელობასა და IPAM-ის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას საქმეების განხილვის პროცესში.

iv. IPAM-ის ხელმძღვანელის

უფლებამოსილების ვადა/. IPAM-ის ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება საწყისი ვადით - რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია და ვადა შეიძლება გაგრძელდეს 4 წლამდე. მისი უფლებამოსილებ(ებ)ის ვადის ამოწურვისას ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, IPAM-ის ხელმძღვანელმა EBRD-ში არ შეიძლება შეასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო.

v. IPAM-ის ხელმძღვანელის

კომპენსაცია. აუდიტის კომიტეტი განიხილავს საკომპენსაციო პაკეტს, რომელიც შეთავაზებული იქნება IPAM-ის ხელმძღვანელისთვის და პრეზიდენტს წარუდგენს რეკომენდაციას აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით. IPAM-ის ხელმძღვანელს არ აქვს უფლება მიიღოს შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურება.

თუ საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს, IPAM-ის ხელმძღვანელი მიიღებს იმავე რაოდენობით წლიურ ანაზღაურებას, რა რაოდენობაც დამტკიცებულია საბჭოს მიერ ვიცე პრეზიდენტების ანაზღაურების შემთხვევაში. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილესთან კონსულტაციით ჩაატარებს IPAM-ის თავმჯდომარის მუშაობის ეფექტურობის ყოველწლიურ შემოწმებას, რომელიც იმავე ვადებში უნდა დასრულდეს, რა ვადებშიც ხდება ბანკის თანამშრომელთა შეფასება.

- vi. **IPAM-ის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება.** IPAM-ის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაში, ნებისმიერ გადაწყვეტილებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ამტკიცებს საბჭო. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება აუდიტის კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც პრეზიდენტი უგზავნის საბჭოს. გადასაგზავნ დოკუმენტში, პრეზიდენტს შეუძლია გამოხატოს აზრი, რომ არ ეთანხმება აუდიტის კომიტეტის მიერ რეკომენდებული ქმედებების განხორციელებას. IPAM-ის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია იმავე საფუძველზე, რა მიზეზითაც შეიძლება მოხდეს პერსონალის გათავისუფლება. დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება IPAM-ის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიიჩნევა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებად, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება უშუალოდ EBRD-ის ადმინისტრაციული ტრიბუნალის წინაშე, სააპელაციო პროცედურებისა და რეგლამენტის შესაბამისად.
- vii. **IPAM-ის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება.** სულ მცირე, მისი უფლებამოსილების პირველი ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე, IPAM-ის ხელმძღვანელი წერილობით აცნობებს საბჭოს დაინტერესებულია თუ არა იგი უფლებამოსილების ვადის გაგრძელებით. დაინტერესების შემთხვევაში, პრეზიდენტი კონსულტაციებს გაივლის საბჭოსთან აღმასრულებელ სხდომაზე და ამის შემდეგ გაუგზავნის საბჭოს რეკომენდაციას დასამტკიცებლად. თუ IPAM-ის ხელმძღვანელი არ არის დაინტერესებული უფლებამოსილების ვადის გაგრძელებით ან, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა ვადის გაგრძელების დამტკიცება, გამოქვეყნდება განცხადება ვაკანტური თანამდებობის შესახებ და დაიწყება შერჩევის პროცედურა, რომელიც აღწერილია 3.3(ა)iii. პუნქტში.

- b) **ბიუჯეტი.** IPAM-ის ხელმძღვანელი ამზადებს წლიურ ბიუჯეტს (რომელიც მოიცავს გაუთვალისწინებელ ხარჯებს), რომელშიც განსაზღვრულია რესურსების საკმარისი დონე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ IPAM-მა შეძლოს ყველა თავისი ფუნქციის, პასუხისმგებლობის, საქმიანობის ეფექტურად განხორციელება წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. IPAM-ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია IPAM-ის დეპარტამენტში რესურსების გადანაწილების განსაზღვრაზე.

IPAM-ის ბიუჯეტი დასამტკიცებლად გადაეგზავნება საბჭოს, თანხმობის საფუძველზე, იმავე ვადებშიც, რაც განსაზღვრულია ბანკის ზოგადი ბიუჯეტის შემთხვევაში, მაგრამ ცალკე გადაწყვეტილების სახით.

- c) **IPAM-ის პერსონალი.** IPAM-ის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს IPAM-ის პერსონალს, რომლებზეც ვრცელდება ბანკის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პოლიტიკა და პროცედურები. IPAM-ის ხელმძღვანელი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, თავისუფალია კადრების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ბანკის ხელმძღვანელობისა და საბჭოს ჩარევის გარეშე. IPAM-ის თანამშრომელთა ანაზღაურებას განსაზღვრავს IPAM-ის ხელმძღვანელი, ბანკის ადამიანური რესურსების დეპარტამენტთან კონსულტაციით. ანაზღაურების მომატება IPAM-ის პერსონალისთვის ეფუძნება ბანკის სხვა თანამშრომლების საბანკო პოლიტიკას და პროცედურებს.
- d) **იურიდიული მხარდაჭერა.** მოთხოვნის შემთხვევაში, მთავარი იურისტის აპარატი IPAM-ს და საბჭოს გაუწევს კონსულტაციებს EBRD-ის სამართლებრივი სტატუსის, უფლებების და ვალდებულებების საკითხებზე, ბანკის დაფუძნების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასევე, საბანკო პოლიტიკისა და პროცედურების განმარტებისა და განხორციელების შესახებ, განაცხადში მითითებულ პროექტთან მიმართებაში. მოთხოვნის შემთხვევაში, მთავარი იურისტის აპარატი IPAM-ს და საბჭოს ასევე გაუწევს კონსულტაციებს

EBRD-ის უფლება-მოვალეობის საკითხებზე, ნებისმიერ განაცხადსა და საქმესთან მიმართებაში, რომლებიც განხილვის პროცესშია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, საბჭოს უფლების დაურღვევლად, რათა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის დებულებების ინტერპრეტაციის ან მათი გამოყენების შესახებ. მთავარი იურისტის აპარატი, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს IPAM-ს სპეციალისტის იურიდიული კონსულტაციის მიღებაში იმ კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც რელევანტურია EBRD-ის საქმიანობის განხორციელების ტერიტორიებსა თუ ქვეყნებში.

- e) **დამატებითი ტექნიკური ცოდნა.** IPAM-მა შეიძლება მოიწვიოს კონსულტანტები ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით. ნებისმიერი ასეთი კონსულტანტის შერჩევა და მასთან ურთიერთქმედება მოხდება შესყიდვის წესებისა და 3.1(ი) პუნქტის შესაბამისად და კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება IPAM-ის უფროსის წინაშე.
- f) ურთიერთქმედება ხელმძღვანელობასთან. ბანკის ხელმძღვანელობა IPAM-ის ხელმძღვანელს მოიწვევს ხელმძღვანელობის სხდომებზე დასასწრებად ან მონაწილეობის მისაღებად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კომუნიკაციის გაუმჯობესებას და საერთო ინტერესების უკეთეს გაგებას.
- g) ანგარიშგება. IPAM-ის ხელმძღვანელი აუდიტის კომიტეტს წარუდგენს კვარტალურ პრეზენტაციებს. დამატებითი ბრიფინგები საბჭოსთვის ხელმისაწვდომი იქნება მოთხოვნის ან საჭიროების შემთხვევაში.

ნაწილი IV: გადახვევა, გამონაკლისები და საჯაროობა

გადახვევა

საბჭომ შეიძლება გასცეს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ისეთი მოთხოვნებიდან გადახვევის უფლება, რომლებიც პირდაპირ არ არის ნებადართული წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის პირობებით.

გამონაკლისები

არ დაიშვება.

საჯაროობა

პოლიტიკის დოკუმენტი გამოქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე მისი დამტკიცებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

ნაწილი V: გარდამავალი დებულებები

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი გავრცელდება ისეთ საქმეებზე, რომელთა განაცხადების წარდგენა ან/და რეგისტრაცია მოხდა IPAM-ის მიერ, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, ნაწილი VI-ის შესაბამისად.

საქმეები, რომლებიც არ რეგულირდება აღნიშნული თარიღით, დაექვემდებარებიან შემდეგ წესებს:

a) მიმდინარე დასაშვებობის შეფასება:

გადაწყვეტილებები მიმდინარე დასაშვებობის შეფასების შესახებ (რომელიც განსაზღვრულია პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურული წესებით) მიღებული იქნება IPAM-ის ხელმძღვანელის და არა პროექტის გასაჩივრების მექანიზმის თანადასაშვებობის შემფასებელთა მიერ (მაგ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ოფიცრის და პროექტის გასაჩივრების მექანიზმის დანიშნული ექსპერტის მიერ, ორივე მათგანი განსაზღვრულია პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურული წესებით).

b) **მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივები:** პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ექსპერტები (რომლებიც შესაბამისობაშია და განსაზღვრულია პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესებით), რომლებიც ინიშნებიან, როგორც პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პრობლემების გადაწყვეტის ექსპერტები, გააგრძელებენ საკუთარ საქმიანობას დამხმარების რანგში, თუმცა, ანგარიშვალდებულები იქნებიან IPAM-ის ხელმძღვანელის წინაშე.

c) **შესაბამისობის მიმდინარე შემოწმებები:** IPAM-ის ხელმძღვანელი, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განსაზღვრავს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების შესაბამისად დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი შესაბამისობის შემოწმება დასრულდეს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის დანიშნული ექსპერტის მიერ თუ დაექვემდებაროს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის დებულებებს, უკვე განხორციელებული შემოწმების დონის (და ხანგრძლივობის) და ასევე იმის გათვალისწინებით, გააკეთა თუ არა პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ექსპერტმა რაიმე დასკვნები. ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება და მისი მიღების მიზეზები გამოქვეყნდება საქმეთა რეესტრში.

დანართები

დანართი A-ს შინაარსი წარმოადგენს ნაწილი III- „მოქმედების სფეროს“ ნაწილს.

- IPAM-ის განაცხადის ფორმის ნიმუში
- IPAM-ის განაცხადის შაბლონი

ნაწილი VI: ამოქმედების თარიღი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ძალაშია IPAM-ის ხელმძღვანელის 3.3(ა) პუნქტის შესაბამისად დანიშნვისთანავე.

ნაწილი VII: გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო

IPAM-ის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტზე.

IPAM-ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტზე.

ნაწილი VIII: განხილვა და ანგარიშგება

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი განხილული იქნება 2024 წელს.

IPAM-ი მოამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელშიც აღწერილი იქნება წინა საანგარიშო წლის რეგისტრირებული განაცხადები, საქმეთა შედეგები, განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის ინიციატივები და ინსტიტუციური გამოცდილება. წლიური ანგარიში წარედგინება საბჭოს და პრეზიდენტს ინფორმაციის სახით და შემდეგ საჯაროდ გავრცელდება უმოკლეს ვადაში, IPAM-ის ვებგვერდის მეშვეობით.

ნაწილი IX: შესაბამისი დოკუმენტები

1. სახელმძღვანელო მითითება საქმის განხილვის შესახებ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად (GUI/2019/[])
2. EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი (POL/2019/[])
3. EBRD-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის დოკუმენტი (POL/2019/[])

EBRD contacts

European Bank for Reconstruction and Development
One Exchange Square, London
EC2A 2JN
United Kingdom

www.ebrd.com

Switchboard/central contact

Tel: +44 20 7338 6000

Information requests

For requests and enquiries, please go to
www.ebrd.com/inforequest

*1096 Access to Information Directive
© European Bank for Reconstruction and
Development*